# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი-სამშაბათი, 12-13 სექტემბერი. 2022 წ. №141-142 (9479-9480) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი




რუსულ მხარეს 49 წლის ვადით, ყოველწლიურად 1 რუბლის საფასურად გადაეცემა მიწის ნაკვეთები, მასზე დამაგრებული ობიექტით და ობიექტის მიმდებარე ზღვის აკვატორიის მონაკვეთით.

იხ. 6 გვ.

## რუსმა ღორებმა ბიჭვინთაც „მოხნეს“!..

## რუსეთი აფხაზეთის ახალგაზრდობას ომში მიერეკება!

## აფხაზები ოკუპაციასა და გენოციდზე თამამად საუბრობენ!

## უფასოდ სათაგურში ყველიც არ არსებობს!

„როდესაც ვხედავთ რომ ჩვენი პარტნიორების დავალებით ეს ხალხი ხელისუფლების აყირავებისთვის და გადატრიალებისთვის იღვწიან, აქ უკვე საუბარი არანაირ მეკავშირეობაზე აღარ არის“

③

## „ხალხის ძალა“ მოღალატე გახარიას ამხელს!

იხ. 3 გვ.



გახარიას „ბასიანში“ შესვლას თავის დროზე გუნდშიც სერიოზული კრიტიკა მოჰყვა, განსაკუთრებით კახა კალაძის მხრიდან, რომელიც თავის სამართლიან აღშფოთებას ყველაზე აქტიურად გამოხატავდა. რაც თავიდან ავანტიურისტული შეცდომა გვეგონა, სრულიად შეგნებული დანაშაული აღმოჩნდა. როგორც ჩანს, „ბასიანში“ შესვლის მთავარი მიზანი ახალგაზრდებში პოლიციის იმიჯის შელახვა და პოლიციელების მიმართ აგრესიის გაჩენა იყო და ეს დავალება გახარიამ პირნათლად შეასრულა.

„არა არს რა დაფარული“...



## ლუდომანია ნარკომანიაზე ბევრად უარესია!

⑩

## აზარტულ თამაშებზე უკვე 1 449 124 ადამიანს აღარ მიუწვდება ხელი!

## ირანული მინიატიურების გურჯი დიდოსტატი



⑨

## „ძალიან თავხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,



⑦

– [illegible] ფრიდრიხ ნიცშე

## რა შეიცვლება დედოფლის გარდაცვალების შემდეგ



⑧







# პრემიერი: პარტნიორებმა ღირსეული წვრთნა ჩაატარეს!

**მრავალეროვნული სწავლება – „ღირსეული პარტნიორი“ კიდევ ერთი თანამიმდევრული ნაბიჯია ჩვენი საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, ჩვენი საამაყო ჯარის პროფესიონალიზმისა და ნატოსთან ურთიერთთავსებადობის მიმართულებით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მრავალეროვნული სწავლების – „ღირსეული პარტნიორი 2022“-ის დახურვის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

მთავრობის მეთაურმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ქართველ სამხედროებს და აღნიშნა, რომ მათ კიდევ ერთხელ გამოაჩინეს თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა.

**„ქალბატონო პრეზიდენტო, ბატონო თავდაცვის ძალების მეთაურო, ბატონო გენერლებო, ოფიცრებო, სერჟანტებო, კაპრალებო, რიგითებო, ქალბატონო ელჩო, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებო, ყველას მოგესალმებით.**

**პატივცემულო სტუმრებო, გილოცავთ მორიგი მრავალეროვნული სწავლების – „ღირსეული პარტნიორი 2022-ის წარმატებულ დასრულებას.**

**ჩვენ ნამდვილად გვეამაყება, რომ ამ სწავლებას საქართველოში უკვე მეექვსედ ვმასპინძლობთ. ეს არის კიდევ ერთი თანამიმდევრული ნაბიჯი ჩვენი საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, ჩვენი საამაყო ჯარის პროფესიონალიზმისა და ნატოსთან ურთიერთთავსებადობის მიმართულებით. წლიდან წლამდე ჩვენი სამხედროები, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების კოლეგებთან ერთად, ავითარებენ თავიანთ შესაძლებლობებს და ქმნიან ძლიერ კავშირებს.**

**სწავლების სახელი – „ღირსეული პარტნიორი“ კარგად გამოხატავს იმ ძირითად პრინციპს, რაც საფუძვლად უდევს ჩვენს მრავალწლიან, ურთიერთგაძლიერებაზე ორიენტირებულ თანამშრომლობას. ჩვენი ქვედანაყოფები, უნიკალურ საბრძოლო უნარების დაუფლებასთან ერთად, საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ ჩვენს სტრატეგიულ და საერთაშორისო პარტნიორებს.**

**მე მინდა მადლობა გადავუხადო სწავლებაში ჩართულ ყველა ქვეყანას, მათ შორის, ამ სწავლებაში პირველად მონაწილე იაპონიისა და შვედეთის წარმომადგენლებს, ყველა სამხედრო მოსამსახურეს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ სწავლებაში. მე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს საამაყო სამხედროებს, რომლებმაც კიდევ ერთხელ გამოაჩინეს თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა.**

**ასევე, განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, სწავლების ორგანიზებასა და აღსრულებაში შეტანილი წვლილისთვის. ჩვენი თანამშრომლობა და პარტნიორობა არის მტკიცე და მზარდი დინამიკის, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მდგრადობის განმტკიცებისკენ.**

**ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ჩვენს სამხედროებს, ყველას და კიდევ ერთხელ მოგილოცოთ „ღირსეული პარტნიორი 2022“-ის დასრულება. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“,** – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მრავალეროვნული სწავლება – „ღირსეული პარტნიორი 2022“ ვაზიანის მე-11 პოლიგონზე ოფიციალურად დასრულდა. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შემდეგ ღონისძიების სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას. მონაწილე ქვეყნების პირად შემადგენლობას სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა, აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა და აშშ-ის არმიის V კორპუსის მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ჯეფრი ბროუდვოთერმა.

**ღონისძიება სწავლების მონაწილე პირადი შემადგენლობის დაჯილდოებით გაგრძელდა. თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა უცხოელი და ქართველი სამხედროები წვრთნებში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლებით – „ღირსეული პარტნიორი“, „გენერალი მაზნიაშვილი“ და „გენერალი კვინიტაძე“ დააჯილდოვა.**

# პრეზიდენტი: ძალა ერთობაშია, ძალა პარტნიორობაშია!

**მინდა, პირველ რიგში, გავიხსენოთ, რომ 31 წლის წინ, 9 სექტემბერს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გამოსცა ბრძანებულება, რათა თავდაცვის სამინისტროს დაეწყო ეროვნული არმიის ჩამოყალიბება.**

**ეს დიდი დღეა, თუმცა ეს იყო იმ ეროვნული არმიის და ეროვნული გვარდიის მხოლოდ აღდგენა, რომელიც 1918 წლიდან არსებობდა, აღდგენა იმ ჩვენი ღირსეული ჯარისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იცავდა ამ ქვეყანას. მინდა ეს დღე მოგილოცოთ ყველას – თქვენ და ჩვენ მოქალაქეებს, რადგან თუ სახელმწიფო არსებობს, არსებობს სწორედ იმიტომ, რომ მას გააჩნია ღირსეული ჯარი.**

**ასევე, მინდა მივუსამძიმრო წვრთნებში მონაწილე დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს, 70 წლის მანძილზე გაერთიანებული სამეფოს უცვლელი და ღირსეული უმაღლესი მთავარსარდლის გარდაცვალების გამო.**

**წელს საქართველოში მეექვსედ ჩატარდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინიცირებული და მხარდაჭერილი მრავალეროვნული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი“, რომელშიც 20 ქვეყნიდან 2400-ზე მეტი სამხედრო მონაწილეობს.**

**წელს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებში საიუბილეო წელია. ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წელი შეუსრულდა. წვრთნების სახელწოდება „ღირსეული პარტნიორი“ ვფიქრობ, ერთგვარად აერთიანებს ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობების ყველა პოზიტიურ ეპითეტს.**

**დიახ, ეს სამი ათეული წელი ნამდვილად მაგალითია ორმხრივი ღირსეული პარტნიორობისა და ვერავითარი საწინააღმდეგო მოსაზრება ვერ დააკნინებს და შეარყევს ამ ურთიერთობას და მის მომავალს.**

**დღეს ევროპასა და ჩვენს რეგიონში – უკრაინაში ომი მიმდინარეობს და ასეთი მასშტაბის მრავალეროვნული სწავლების საქართველოში ჩატარება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.**

**„ღირსეული პარტნიორი 2022“ სწავლებაში მონაწილე ქვეყნები შესაძლებლობას გვაძლევენ გავზარდოთ ჩვენი მზაობა და შესაძლებლობები შავი ზღვის რეგიონის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.**

**დღეს დასრულდა 12-დღიანი სწავლება. ჩვენ ყველანი მოწმენი გავხდით იმ მაღალი პროფესიონალიზმისა და უმაღლესი დონის სამხედრო მომზადებისა, რომლითაც გამოირჩევა სწავლების უკლებლივ ყველა მონაწილე.**

**მადლობას მოვახსენებ საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობასა და ამერიკის შეერთებული შტატების სარდლობას წლევანდელი მრავალეროვნული სამხედრო სწავლების სამაგალითო ხელმძღვანელობისთვის.**

**მადლობას მოვახსენებ წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის, წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრს სწავლების მხარდაჭერისთვის, რითაც უზრუნველვყავით „ღირსეული პარტნიორი 2022“-ის წარმატებითი განხორციელება.**

**მადლობა მრავალეროვნული სწავლების ტრადიციულ პარტნიორებს და მათ, ვინც წელს პირველად მონაწილეობს ამ მნიშვნელოვან წვრთნებში.**

**იაპონიის თავდაცვის ძალების და შვედეთის შეიარაღებული ძალების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლები მრავალეროვნული სწავლების ისტორიაში წელს პირველად მონაწილეობენ. ასევე, პირველად ჩაერთო სწავლებაში ლიეტუვა, პოლონეთი, უკრაინის მრავალეროვნული ბრიგადის პირადი შემადგენლობა. ეს ყოველივე კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ძალა ერთობაშია, ძალა პარტნიორობაშია!**

**ეს, კიდევ ერთი, ნათელი მაგალითია იმისა, რომ ჩვენი პარტნიორებისთვის საქართველოს, როგორც ღირსეული პარტნიორის როლი, უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება რეგიონისა და გლობალური უსაფრთხოების განმტკიცების სფეროში.**

**მწამს, რომ პარტნიორობისა და ერთობის ძალას ვერაფერი შეარყევს. საქართველო მომავალშიც ღირსეულ და საიმედო პარტნიორობას გასწევს ჩვენს რეგიონში, შავ ზღვასა და მსოფლიოში მშვიდობის გაძლიერების სფეროში, რამეთუ მშვიდობა და თავისუფლება მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ღირსეული პარტნიორები გყავს.**

## „ყველა ნიჭზე ძლიერია, ქვეყნის დაცვის ნიჭი“





# „ხალხის ძალა“ მოღალატე გახარიას ამხელს!



საზოგადოებრივი მოძრაობა **„ხალხის ძალა“** სენსაციური განცხადებას ავრცელებს. კერძოდ, პარლამენტის წევრები: **სოზარ სუბარი, დიმიტრი ხუნდაძე, გურამ მაჭარაშვილი** და **მიხეილ ყაველაშვილი** ეხმიანებიან ამერიკის საელჩოს განცხადებას ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული კანონის შესახებ.

**„როგორც ცნობილია, საელჩომ განაცხადა, რომ აღნიშნული კანონი არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და პარლამენტმა იგი საქართველოს მოქალაქეების კონტროლის მიზნით მიიღო.**

ვინც თუნდაც ზედაპირულად გაეცნობა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს და საერთაშორისო პრაქტიკას, მიხვდება, რომ კანონი სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან და მოქალაქეების კონტროლის სურვილთან მას არაფერი აქვს საერთო. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ვერც პრეზიდენტმა და ვერც ვენეციის კომისიამ კანონზე ერთი სამართლებრივი შენიშვნაც კი ვერ წარმოადგინეს.

ასეთ პირობებში, აშკარაა, რომ საელჩო მიზანმიმართულად ავრცელებს დეზინფორმაციას, რასაც რადიკალური ოპოზიცია პოლარიზაციის ხელოვნურად გაღრმავებისთვის იყენებს. თუმცა, აქ ესეც არაა მთავარი.

საელჩოს უსაფუძვლო თავდასხმა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ კანონზე შემთხვევითი სულაც არ არის. გასული რამდენიმე წლის განმავლობაში მკაფიოდ იკვეთება, რომ საელჩოს განსაკუთრებული ძალისხმევა საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისა და კანონის უზენაესობის წინააღმდეგ არის მიმართული. ამის გამოხატულება იყო გამუდმებული თავდასხმები სასამართლოსა და პროკურატურაზე, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილი ცვლილებების სრულიად უსაფუძვლო კრიტიკა, უგულავას, მელიას, რურუას და სხვა კრიმინალების განთავისუფლების დაჟინებული მოთხოვნა და ა.შ.

**საქართველოში სამართალდამცავი სტრუქტურების მოშლის მცდელობის განსაკუთრებით მძიმე გამოვლინება იყო გიორგი გახარიას ხელით ორგანიზებული სპეცოპერაციები, რომლებიც პოლიციის სისუსტის ხელოვნურად წარმოჩენასა და მისი იმიჯის შელახვას ისახავდა მიზნად.**

**გახარიას „ბასიანში“ შესვლას თავის დროზე გუნდშიც სერიოზული კრიტიკა მოჰყვა, განსაკუთრებით კახა კალაძის მხრიდან, რომელიც თავის სამართლიან აღშფოთებას ყველაზე აქტიურად გამოხატავდა. რაც თავიდან ავანტიურისტული შეცდომა გვეგონა, სრულიად შეგნებული დანაშაული აღმოჩნდა. როგორც ჩანს, „ბასიანში“ შესვლის მთავარი მიზანი ახალგაზრდებში პოლიციის იმიჯის შელახვა და პოლიციელების მიმართ აგრესიის გაჩენა იყო და ეს დავალება გახარიამ პირნათლად შეასრულა.**

პოლიციის იმიჯის შესალახად და დასაკნინებლად ჩატარდა პანკისის სპეცოპერაციაც, სადაც გახარიამ სპეცრაზმი არასწორ დროს შეიყვანა და არასწორი დავალებებით ამოქმედა. ყველას კარგად გვახსოვს უმძიმესი სურათი მძიმედ დაშავებული პოლიციელებითა და განადგურებული სპეცტექნიკით. რაც შეცდომა გვეგონა, ამ შემთხვევაშიც შეგნებული დანაშაული აღმოჩნდა, რომელიც ასევე პოლიციის სისუსტის ხელოვნურად წარმოჩენასა და მისი რეპუტაციის შელახვას ემსახურებოდა.

რატომ ასროლინა გახარიამ დამიზნებით რეზინის ტყვიები ჟურნალისტებზე და შტურმიდან მოშორებით მყოფ ადამიანებზე, ეს ცალკე განხილვას საჭიროებს. რა თქმა უნდა, მიზანი აქაც პოლიციის იმიჯის დაზიანება და მის მიმართ მოსახლეობაში აგრესიის გაჩენა იყო.

საბოლოოდ, როგორც გაირკვა, უცხო ქვეყნის სამსახურში ჩადგომის შემდეგ, გახარიამ შინაგან საქმეთა მინისტრობა სწორედ პოლიციის დაზიანებისა და მოშლის მიზნით მოითხოვა.

საელჩოს მხრიდან სასამართლოსა და პროკურატურის დაზიანებისა და მოშლის მცდელობებს, პრაქტიკულად, მუდმივ რეჟიმში ვაკვირდებით. უკვე წლებია, წარმოებს მადისკრედიტირებელი კამპანიები საელჩოს მიერ დაფინანსებული ენჯეოების შესრულებით პროკურატურის და განსაკუთრებით, სასამართლოს წინააღმდეგ. გარდა ამისა, ისეთი მოთხოვნების დაყენებით, როგორიც, მაგალითად, მოსამართლეებისა და გენერალური პროკურორის კვალიფიციური უმრავლესობით არჩევაა, საელჩო ღიად ცდილობს, თავის ფავორიტ პარტიას - „ნაციონალურ მოძრაობას“ დანიშვნებზე ვეტოს უფლება მოუპოვოს, რაც ორივე სტრუქტურის მოშლის ტოლფასი იქნებოდა.

საქართველოში სამართლის უზენაესობისა და სამართალდამცავი ორგანოების დასუსტების მთავარი მიზანი ცხადია: კრიმინალებს უნდა გაუადვილდეთ რევოლუციის მოწყობა, ხელისუფლებაში დაბრუნება და ომში საქართველოს ჩართვა.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი, უსაფრთხოება და სიმტკიცე დიდწილად სწორედ სამართალდამცავ სტრუქტურებზეა დამოკიდებული. იქ, სადაც სამართალდამცავი სტრუქტურები სუსტდება, ხელისუფლებაც ადვილი მოსარყევი ხდება. სწორედ ამიტომ, კანონის უზენაესობის დაცვასა და კრიმინალთან ბრძოლაში ხელისუფლება უკომპრომისო უნდა იყოს, როგორც არ უნდა სცადოს საელჩომ მოვლენების საპირისპირო მიმართულებით განვითარება.

**სიმართლით აღჭურვილი ხალხის ძალამ უნდა დაიცვას სამართალდამცავი სტრუქტურებიც. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია აუცილებლად, ხმა ავიმაღლოთ და საზოგადოებას ვუთხრათ სიმართლე საელჩოს ნებისმიერი განცხადების თუ ქმედების შესახებ, რომელიც საქართველოში სამართლის უზენაესობის წინააღმდეგ არის მიმართული“,**
— აღნიშნულია განცხადებაში.



# უფასოდ სათაგურში ყველიც არ არსებობს!

## „როდესაც ვხედავთ, რომ ჩვენი პარტნიორების დავალებით ეს ხალხი ხელისუფლების აყირავებისთვის და გადატრიალებისთვის იღვწიან, აქ უკვე საუბარი არანაირ მეკავშირეობაზე აღარ არის“

**ვინ არიან ამერიკის აგენტები და რა გავლენა აქვთ მათ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე? რატომ გახდა ახლა ამ თემაზე საუბარი აქტუალური და უკავშირდება თუ არა ეს უკრაინა-რუსეთის ომს? აგენტების სიით ბრძოლა ოპოზიციას და „ოცნებიდან“ წასულ 4 დეპუტატს შორის გაჩაღდა. ოპოზიციის მხრიდან ბრალდებებს ხელისუფლების მისამართით, რომ რუსი აგენტები საქართველოში უპრობლემოდ გადაადგილდებიან, „ოცნებიდან“ წასული ოთხეულის მორიგი წერილი მოჰყვა, რომლის ადრესატები ამჯერად საქართველოში ამერიკის აგენტები არიან.**

**დიმიტრი ხუნდაძის, მიხეილ ყაველაშვილის, სოზარ სუბარისა** და **გურამ მაჭარაშვილის** განცხადებაში წერია, რომ შტატების საელჩო თავის აგენტურას ხალხის ნების წინააღმდეგ ხელისუფლების შეცვლისა და მეორე ფრონტის გახსნის მცდელობისთვის იყენებს. გვარები არ დაუსახელებიათ, თუმცა ხალხის ძალის წარმომადგენლებმა საკმაოდ ვრცელ წერილში ღია ტექსტით თქვეს, რომ ამერიკულმა აგენტურამ განსაკუთრებით დიდი როლი „ვარდების რევოლუციის“ მოწყობისას ითამაშა.

მმართველი პარტიიდან წასული დეპუტატები განმარტავენ, რომ მორიგი წერილი გასულ კვირას ერთ-ერთ მედიასაშუალებაში გამოქვეყნებული სიის გაცნობის შემდეგ გადაწყვიტეს. სტატიაში ამერიკის აგენტურასთან კავშირში ოცამდე ოპოზიციონერი ლიდერი დასახელდა. მათ შორის — **დავით უსუფაშვილი, ლევან და დავით ბერძენიშვილები, გრიგოლ ვაშაძე, გიგა ბოკერია, გიორგი გახარია, ხაზარაძე-ჯაფარიძე** და სხვები. ოპოზიციის ლიდერების გარდა საუბარი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებზეც.

ოპოზიციის ნაწილისთვის „ოცნებიდან“ წასულების ბრალდება ამერიკულ აგენტურასთან კავშირზე უსაფუძვლო და მძიმეა, მეორე ნაწილი კი აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ ამ განცხადებით „ხალხის ძალამ“ მორიგი პოლიტიკური სვლა გააკეთა. „ქართული ოცნება“ ყოფილი თანაგუნდელების მორიგ მიმართვაზე საუბრისას დეტალებში არ შედის და მხოლოდ იმას ამბობს, რომ თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ამ საკითხზე ღიად საუბარი მიზანშეუწონელია.

ანალიტიკოსი **მამუკა არეშიძე** აცხადებს, რომ მან არ იცის, რას გულისხმობენ ეს ადამიანები სიტყვა აგენტში, მაგრამ არსებობენ ადამიანები, ორგანიზაციები, რომლებიც ამერიკის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და გარკვეული სახის პოლიტიკასაც ატარებენ. არეშიძე ამბობს, რომ გააჩნია ამ გავლენების შექმნის საზღვარსაც. გავლენების შექმნა ერთია და მეორე სამშობლოს წინააღმდეგ მიდიხარ თუ არა.

**„ბევრი ადამიანი ვიცი, რომლებსაც სხვადასხვა დასავლურ უმაღლეს სასწავლებლებში განათლება აქვთ მიღებული, მათ შორის სამხედრო სასწავლებლებში და ისინი არიან იმ იდეების გამხმოვანებლები, რასაც ამ უნივერსიტეტში ასწავლიდნენ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამშობლოს წინააღმდეგ მოქმედებენ. შემიძლია დაგისახელოთ არაერთი ადამიანი და ჩინოსანი, რომლებიც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ, თუმცა აფხაზეთის ომის დროს სამშობლოსთვის თავგანწირვით იბრძოდნენ.**

**ეს საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, ზოგიერთი ქართველი, რომლებსაც რუსული სპეცსამსახურები ჰქონდათ დამთავრებული, პედაგოგების წინააღმდეგ როგორ იბრძოდნენ. ამიტომ ეს ადამიანზეა დამოკიდებული და იმაზე, თუ მას სამშობლო რად უღირს, თავისი ქვეყნის პატრიოტი რამდენად არის.**

იხ. 11 გვ.

# ქურდბაცაცები

…ან რას ნიშნავს ევროკომისიის რეკომენდაციით – შარლ მიშელისეულად ცნობილი, 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებად წოდებული დოკუმენტის სულისკვეთებით მოქმედების მოთხოვნა გარდა იმისა, რომ სასჯელიდან გაანთავისუფლონ სააკაშვილი და ნ. გვარამია, ხოლო ხელისუფლებამ დათმოს მნიშვნელოვანი პოზიციები, მათ შორის ცსკოს თავმჯდომარის უმნიშვნელოვანესი თანამდებობა ჩააბაროს ოპოზიციას. კანონის შეცვლამდე, ვფიქრობ, საერთოდ ვერ იქნება ვინმე არჩეული, რადგან ამ ე.წ. შეთანხმების თანახმად გახდა საჭირო 100 ხმა, ენმ კი არ დაუჭერს მხარს კვალიფიცირებულ და არამიკერძოებულ კანდიდატს, ხოლო „ოცნება“ ნაკლებად კვალიფიცირებულს ან მიკერძოებულს, რაც ახალი პრეტენზიის საბაბი გახდება. გავიხსენოთ ამ არშემდგარი შეთანხმების პროექტის ერთ-ერთი პუნქტი: „…ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის განმავლობაში, რეაგირება მოახდინონ პოლიტიზირებულ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საკითხზე, ამნისტიის საშუალებით და/ან ისეთი ზომების მიღებით, რომელიც ანალოგიურ შედეგს გამოიღებს.“ აღმოჩნდა, რომ ენმ-ს მიერ პლაკატების გაშლა ყოფილა საკმარისი დამნაშავეების განთავისუფლებისთვის – ამ არშემდგარ შეთანხმებიდან გამომდინარე შეწყალებული იქნა ჩადენილი დანაშაულებისთვის გასამართლებული ვითომ პოლიტიკოსები. განა ეს ევროპულ ღირებულებებს შეესაბამება? საკმარისად მესმის პოლიტიზირებული მართლმსაჯულების შინაარსი და მისი დაუშვებლობაც, მაგრამ ევროკომისიის სარეკომენდაციო დოკუმენტში განსაზღვრების „პოლიტიზირებულ მართლმსაჯულებად აღქმული“ შემცველი და არშემდგარი შეთანხმების სულისკვეთებაზე მითითება, სიბეცის ან პოლიტიკური თავხედობის მაჩვენებელი მგონია. თუ გააჩნიათ თავმოყვარეობა, არც ახლაა გვიან, განმარტოს ვინმემ ევროკომისიიდან მისი სამართლებრივი შინაარსი და როდიდან გახდა აღქმები სახელმძღვანელო, ისიც გვითხრან, თუ ვის აღქმებზეა საუბარი (რა, განა ოპოზიციის გარდა, სხვა ხალხი არ არსებობს?) და რა კრიტერიუმებით შევაფასოთ ეს აღქმები – პლაკატების რაოდენობით თუ აქციებზე ბღავილის სიხშირით? ზემოაღნიშნული სამარცხვინო რეზოლუციის, შეიძლება ითქვას, თანაავტორი ქ-ნ ს. სამადაშვილი (ჩემი აზრით, უთავმოყვარეო პოლიტიკოსის მაგალითი), არც მალავს ევროკავშირის რეკომენდაციების ძირითად არსს: „…კონკრეტული მოთხოვნაა იმ ნაბიჯების გადადგმა, რომელიც შეთანხმებულია შარლ მიშელის დოკუმენტში“.

**საინტერესოა ასეთი დავალებაც: „დეოლიგარქიზაციის პირობისადმი ერთგულება, რაც უნდა მიღწეული იქნეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრით“. რეზოლუციიდან გამომდინარე გასაგებია, რომ ამ ტექსტის ავტორებს ბატონი ბ. ივანიშვილი ჰყავდათ მხედველობაში, რაღა თქმა უნდა, მთავრობაზე ზეწოლის მიზნით. მაგრამ, ამ შემთხვევაში კერძო ინტერესში მხოლოდ სიმდიდრის არაკანონიერად მოპოვებას ან მართლმსაჯულებისგან თავის დაღწევას გულისხმობენ, თუ იმასაც, რომ თუკი, მართალი, კანონმორჩილი, მდიდარი და გავლენიან კაცს ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაჩენილი, ქვეყნისათვის საზიანო რაიმე ტენდენცია არ მოეწონა და მისი გამოსწორების სურვილი გაუჩნდა, ესეც მათეულ კერძო ინტერესად უნდა ჩავთვალოთ, ოლიგარქად უნდა მოვნათლოთ, შესაბამისად პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი საქმიანობა ავუკრძალოთ? როგორც ჩანს, ბატონ ბ. ივანიშვილს არ პატიობენ იმას, რომ, სხვა მდიდრებისგან განსხვავებით, დამსახურებულად მოიპოვა ხალხის პატივისცემა და ნდობა, გაბედა და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად და ხალხის მხარდაჭერით ჩამოაშორა ხელისუფლებას ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ძალა, ჩამოაყალიბა ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის მისაღები პოლიტიკოსთა და მეურნეთა ძირითადი ბირთვი, რომლის საკმაოდ ეფექტური მოქმედებები აღარ აძლევს ენმ-ს ხელისუფლებაში დაბრუნების შანსს, რაზეც ასე წუხან მისი უცხოელი პარტნიორები.**

ევროკომისიის ერთ-ერთი კომიტეტის (2022 წლის 13 ივლისი) სხდომაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ესპ-ს მთელი ძალისხმევა, მ. შ. რეზოლუციაც და რეკომენდაციებიც, მიმართული ყოფილა მხოლოდ ბატონ ბ. ივანიშვილის, როგორც, მათი აზრით, ენმ-ს ხელისუფლებაში დაბრუნების გზაზე უმთავრეს პრობლემაზე. ბატონ ბ.ივანიშვილზე ასეთი გაშმაგებული შეტევა ხომ სხვა არაფერია, თუ არა იმის სურვილი, რომ „ოცნება“ ჩამოშორდეს ხელისუფლებას და არა „დეოლიგარქიზაცია“! რომ წარმოვიდგინოთ თავი ძ.წ. V საუკუნის საბერძნეთში და ვიხილოთ ბ-ნ ბ. ივანიშვილი ქვეყნიდან განდევნილი (ათენიდან დევნიდნენ იმ დროს უდანაშაულო, მაგრამ გავლენიან პირებს და პროცედურას ეწოდებოდა „ოსტრაკიზმი“), ვინ დაუშლით, თქვან: უცხოეთიდან სკაიპით მართავს ქვეყანასო.

მოგეხსენებათ, იდეალური ადამიანები არ არსებობენ და, მით უმეტეს, არც ხელისუფლებები. ამდენად, ბუნებრივია, მუდმივად გვექნება სურვილი უკეთესისა, მაგრამ ყველაფერი შედარებითია და, ვფიქრობ, მიკერძოებული დამკვირვებელიც კი ვერ შეგვახსენებს რაიმე ნიშნით უკეთეს ხელისუფლებას, ვიდრე ამჟამად გვყავს (ოპოზიციამ, ჩრდილოვან მთავრობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ტექნიკური მთავრობის შემადგენლობაც კი ვერ შემოგვთავაზა, რცხვენიათ, ალბათ). შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ზედმეტად ვაქებ „ოცნებას“, მაგრამ ვისაც აქვს რთული სისტემებისა და მრავალრიცხოვანი ორგანიზაციების მართვის გამოცდილება, იცის თუ რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული კვალიფიცირებული და იმავდროულად კეთილსინდისიერი კადრების მოძიება და რაოდენ საკმაოა იმის ალბათობა, რომ რომელიმე საკვანძო რგოლის ხელმძღვანელი ვერ გაუძლებს ცდუნებას და უღალატებს მინდობილ საქმესაც, მის დამწინაურებელსაც და ქვეყანასაც. უსამართლობად მიმაჩნია ვინმეს დადანაშაულება იმაში, რომ წინასწარ ვერ განჭვრიტა რომელიმე კონკრეტული თანამშრომლის ან მის მიერ რეკომენდირებული ადამიანის ზნეობა, მორალური სიმტკიცე ან ზრახვები, რასაც აშშ-ის და რუსეთის სპეციალური სამსახურებიც კი ვერ ახერხებენ ყოველთვის. არასათანადო კონტროლზე, პასუხი, რასაკვირველია, მოსათხოვია, მაგრამ არის უმნიშვნელოვანესი თანამდებობები (პრეზიდენტი, სახალხო დამცველი და სხვა), რომლებზეც რეკომენდატორთა მხრიდან შემდგომი კონტროლი შეუძლებელი ხდება და ამიტომ ასეთ თანამდებობებზე „ოცნების“ მხრიდან ამა თუ იმ კანდიდატურის მხარდაჭერისას, როგორც აღმოჩნდა, ბევრად მეტი და განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო.

თუ გვინდა კიდევ უკეთესი ხელისუფლება, ამის საშუალებაც არსებობს: მომდევნო არჩევნები არც ისე შორსაა, დასაკვირვებლად კი დრო საკმარისია და ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად განვსაზღვრავთ იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც ჩავაბარებთ ქვეყნის და შესაბამისად, საკუთარი კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფ მართვის ბერკეტებს. მანამდე კი ვინ გვიშლის კეთილსინდისიერად ვაკეთოთ საკუთარი საქმე და უბრალოდ არ ვიგუოთ არაკეთილსინდისიერი სახელმწიფო მოხელე?!

ცხადია, რომ ევროკომისიის 17.06.22 წლის რეკომენდაციით მივიღეთ შეტყობინება – თუ გსურთ ევროკავშირის წევრობა, კარგი იქნება ენმ-ს ხელისუფლებაში დაბრუნება და ცოდვაა მ. სააკაშვილის და ნ.გვარამიას 2022 წელს იქით საპყრობილეში ყოფნაო (კიდევ კარგი საქართველოს პრეზიდენტი აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე, რასაც წერილის დასასრულს მივუბრუნდები). ამ დაფარულმა გზავნილმა თავი ვერ დამალა ევროპარლამენტის სხდომაზე ქალბატონ რასა იუკნევიჩიანეს მიერ წარმოთქმულ სიტყვაშიც: **„…სამწუხაროდ ისე ჩანს, რომ საქართველოს მთავრობა აკეთებს ყველაფერს, რომ საქართველო არ იყოს ევროკომისიის რეკომენდაციისთვის შესაბამისი. …დაპატიმრებული ყოფილი პრეზიდენტისა და ოპოზიციური მედიის მფლობელის განთავისუფლება იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროპული ცხოვრებისაკენ“.**

იგივე სცენარის შემადგენელი ნაწილი მგონია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ შეთანხმების შესრულების თაობაზე ახლახან გამოქვეყნებული ანგარიშის ნეგატიური ნაწილიც და, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული არჩევანი კანდიდატის სტატუსსა და მ. სააკაშვილის ან ნ. გვარამიას გარედან ჩარევით განთავისუფლებას შორის, კანდიდატის სტატუსს ნამდვილად არ ავირჩევდი.

ყველაფერი ეს კი, ალბათ, ენმ-თვის, ევროპის სახალხო პარტიის მიერ მიძღვნილი დიდი საჩუქარი – პოლარიზაციის გაზრდის, სახალხო მღელვარების გამოწვევისა და სახელმწიფო გადატრიალების საბაბი იყო. არ მგონია, მართებული იყოს მთავრობისადმი პრეტენზია იმის გამო, რომ მან ვერ მოახერხა ენმ-სადმი ესპ-ს მხარდაჭერის განეიტრალება – ეს მარტივი და რეალურად მისაღწევი საქმე არ უნდა იყოს. არც ის მოსაზრება უნდა იყოს მართებული, რომ „ოცნება“ თუ არ გავიდოდა შარლ მიშელისეულად წოდებული ხელშეკრულებიდან, ისინი არ განაწყენდებოდნენ და კანდიდატის სტატუსს დროულად მოგვანიჭებდნენ. თუ განაწყენებაზეა საუბარი, ბატონი შარლ მიშელი და მისი თანამოაზრეები მხოლოდ ენმ-ზე უნდა განაწყენებულიყვნენ, რადგან ენმ-მ აიგდო იგი აბუჩად და 100 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, ვიდრე „ოცნებამ“ არ გაიწვია საკუთარი ხელმოწერა, ხელი არ მოაწერა მის პარლამენტში შესვლაზე დასაყოლიელებლად, ბატონი შარლ მიშელის (ევროპული საბჭოს პრეზიდენტი და ითვლება ესპ-ს ვიცე-პრეზიდენტად, განათლებით იურისტი) რამოდენიმეჯერ ჩამოსვლისა და მისი შუამავლობის შედეგად შედგენილ, ანტიკონსტიტუციური დათქმების შემცველი შეთანხმების პროექტს. სრულიად ბუნებრივი იყო „ოცნების“ მიერ მეორე, უმთავრესი სუბიექტის – ენმ-ს მიერ თვეების განმავლობაში ხელმოუწერელ დოკუმენტზე საკუთარი ხელმოწერის გაბათილება. შესაბამისად, არც შეიძლება ჩაითვალოს ის შემდგარ შეთანხმებად. განაწყენების ლოგიკით, არც უნდა მიეღოთ ენმ-სთვის აშკარად სასარგებლო შინაარსის რეზოლუცია. რა თქმა უნდა, ბატონი შარლ მიშელი იმსახურებს პატივისცემას იმ მცდელობისთვის, რომელიც მან გასწია ენმ-ს პარლამენტში შესაყვანად და კარგი იქნება, თუ იმასაც დავინახავთ, რომ მისი მიზანი არ იყო მხოლოდ „ოცნების“ დასუსტება და რიგგარეშე არჩევნებისთვის საფუძვლის შექმნა.

**იმედი მაქვს, მოვესწრებით იმას, რომ ესპ თავად მიხვდება, რომ ენმ-ს დღის წესრიგით მოქმედება საზიანოა მათთვისაც თუ კი, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე დამკვეთი არ ჰყავთ. მთავარია, გავაგრძელოთ წინსვლა და ევროკავშირმა დიდხანს შეინარჩუნოს სიმტკიცე, ხოლო როცა ჩვენი გაწევრების საკითხი რეალურად დადგება, თაობა, რომელსაც ერგება წილად ეს წარმატება, ალბათ, ღიმილით გაგვიხსე-**

## ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მეტა-მორფოზა



**ილია ჭავჭავაძე:**



ქურდბაცაცაზედ უარესნი არიან ისინი, ვინც იმოდენად ხელს იღებენ თავზედ, რომ ცილისწამებით, ხმების დაყრით, ჩუმად და იდუმალად უბღალავენ თავის მოპირისპირეს პატიოსნებას და ნამუსსა. რაკი ჯავრი ვისზედმე ჩაიდეს გულში, მაშინ იმათთვის მოსარიდებელი აღარა არის-რა: კაცია თუ ქალია, არ მოერიდებიან, რომ ყოველგვარი ლაფი გადაასხან და ერთსაც და მეორესაც სახელი გაუტეხონ, სახელი დაუმხონ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 140




**თუ გააჩნიათ თავმოყვარეობა, არც ახლაა გვიან, განმარტოს ვინმემ ევროკომისიიდან მისი სამართლებრივი შინაარსი და როდიდან გახდა აღქმები სახელმძღვანელო, ისიც გვითხრან, თუ ვის აღქმებზეა საუბარი (რა, განა ოპოზიციის გარდა, სხვა ხალხი არ არსებობს?) და რა კრიტერიუმებით შევაფასოთ ეს აღქმები – პლაკატების რაოდენობით თუ აქციებზე ბღავილის სიხშირით?**

## ბატონ ბიძინა ივანიშვილზე ასეთი გაშმაგებული შეტევა ხომ სხვა არაფერია, თუ არა იმის სურვილი, რომ „ოცნება" ჩამოშორდეს ხელისუფლებას და არა „დეოლიგარქიზაცია"!



**ნებს თაობას, რომელსაც წილად ხვდა ერთი ქართული ანდაზისეული ყოფა – „ჰაცე, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა ამოვაო".**

შეგვიძლია კი გადავრჩეთ რომელიმე ეკონომიკურ-პოლიტიკურ გაერთიანებასთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე? თუ არა, იცის ვინმემ უკეთესი კავშირი?!

ენმ რომ არც აპირებს თავიანთივე ხელით ხელოვნურად შექმნილი პოლარიზაციის სურათის სასიკეთოდ შეცვლაში საკუთარი წვლილის შეტანას, ნათლად დავინახეთ ენმ-ს სატელიტების მიერ ორგანიზებულ 2022 წლის 23 ივნისისა და 3 ივლისის აქციებზე და იმ ბოიკოტით, რომელიც გამოუცხადეს ევროკომისიის მოთხოვნების შესასრულებლად „ოცნების" შემოთავაზებულ სამოქმედო გეგმას. რა უნდა უქმნიდეს უკეთეს საფუძველს ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრების მოწინააღმდეგე დასავლელ პოლიტიკოსებს მაქსიმალურად შეაფერხონ ეს პროცესი, ვიდრე ქვეყანაში მოჩვენებითი პოლიტიკური არასტაბილობა ან გადაწყვეტილების მიმღები ის დასავლელი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები, ვისაც საჭიროდ და მისაღებად მიაჩნიათ საქართველოს ევროკავშირისა და NATO-ს სრულფასოვანი წევრობა, მაგრამ ანგარიშს უწევენ თავიანთი საზოგადოებების კრიტიკული განწყობის მიზეზებში და დაგვეხმარონ არაკეთილმოსურნეთა და უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებისა თუ დიპლომატებისგან მომდინარე ახალი დემოკრატიისთვის საფრთხის შემცველი შეტევების განეიტრალებაში.

დაბოლოს, სინანულს იწვევს საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიერ ბეწვის ხიდზე გამავალი მთავრობისა და ქვეყნის მიმართ, ჩემი აზრით, დაუმსახურებელი, უდროო დროს და უადგილო ადგილას საჯაროდ გამოთქმული საყვედურები და უსაფუძვლოდ ჯიბრში ჩადგომა, რაც მაგონებს ოქროს პარაშუტის მაძიებლის მოქმედებებს. გარდა ამისა, მაინტერესებს, რა შეატყო ქალბატონმა სალომემ ბატონ ბ. ივანიშვილს იმისა, რომ ვინმეს თავზე გადაყოლა სჭირდებოდა ოდესმე, განსხვავებით მ. სააკაშვილის და მისი თანაგუნდელი დამნაშავეებისა, რომლებიც თავზე ქვეყნის გადაყოლასაც ითხოვენ და უფრო მეტსაც – მათ მიმართ მართლმსაჯულების გაუქმებას. მიუხედავად ამისა, უღრმესი მადლობა მინდა მოვახსენო ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს იმისთვის, რომ აღარ გააგრძელა (და იმედია

## სინანულს იწვევს საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიერ ბეწვის ხიდზე გამავალი მთავრობისა და ქვეყნის მიმართ დაუმსახურებელი, უდროო დროს და უადგილო ადგილას საჯაროდ გამოთქმული საყვედურები და უსაფუძვლოდ ჯიბრში ჩადგომა



აღარც გააგრძელებს), დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულ პოლიტიკოსთა შეწყალების, ქვეყნისთვის ძალზედ საზიანო პრაქტიკას. მაგრამ, თუკი პოლიტიკური ნიშნით შეწყალების პროცესი გაგრძელდება, იგი, ალბათ, იმდენ პატივს დაგვდებს, რომ იმას მაინც გვამცნობს, იცავს თუ არა თავისივე გამოცემულ №556 ბრძანებულებას, რომლთაც დადგენილია შესაბამის უწყებებთან შეთანხმების წესები და ის პირობები, რომლებითაც განსაზღვრულია ის, თუ ვისზე არ შეიძლება პრეზიდენტისთვის შეწყალების საქმის წარდგენა, არ ამოეფარება გასამართლებულ პოლიტიკოსთა შეწყალების მოტივით დაინტერესებული საზოგადოებისადმი უპატივცემულობის გამომხატველ განმარტებას, როგორც ეს გ. უგულავას და ი. ოქრუაშვილის შეწყალების შემთხვევაში გააკეთა: „შეწყალება არის პრეზიდენტის დისკრეციული უფლება, რომელზედაც ახსნა არ შეიძლება, განმარტება არ შეიძლება". გასაგებია, რომ კანონმდებლობა არ ავალდებულებს პრეზიდენტს განმარტოს შეწყალების მოტივი, არც ქვეყნისა და საზოგადოებისადმი პატივისცემას ავალდებულებს ვინმეს კანონმდებლობა – ის ან გაქვს, ან არა. ასეთ მგრძნობიარე საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას ხომ მნიშვნელოვანია დაცული იყოს დადგენილი წესები და თუ კი რაიმე ღირებული მოტივის გამო ვარღვევთ მათ, დასამალი განა რა უნდა იყოს, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე მსჯავრდებულ პოლიტიკოსს ეხება. სხვა შემთხვევაში, ვიღებთ პრეზიდენტის ინსტიტუტის დამაზიანებელ კორუფციის დიდ ალბათობას და აღარ იქნება გამორიცხული შეძლებული ახლობლების მყოლე რეციდივისტების შეწყალებაც კი.

ის განწყობებს, საქმე საქმეზე რომ მიდგება-საქართველო გახდეს ევროკავშირის ან NATO-ს წევრი და შესაბამისად, ამ სტრუქტურების გადაწყვეტილებებზე ვეტოს უფლების მქონე სუბიექტი – გაბედავენ კი ქვეყნის მაგინებელი, მაგიდებზე მხტომარე და პირდაპირი მნიშვნელობით პარლამენტის ამ ამყრალებელი და ისტერიული ხალხის მხარდაჭერას? ხშირად ჩვენ ვერ ვერკვევით, თუ რა ხდება ჩვენს თვალწინ, რა არის სიყალბე და რა სიმართლე, სხვა ქვეყნის პოლიტიკოსებისა ან მოქალაქეებისგან რატომ უნდა ველოდოთ გაერკვნენ ცილისმწამებელთა ტვ არხების, სატელევიზიო სურათებისა და სახალხო დამცველის მნიშვნელოვანი თანამდებობის შეურაცხმყოფელი ნ. ლომჯარიასა და ენმ-ს სხვა მსახურთა მიერ გაყალბებული დასკვნების ობიექტურობაში და დაინახონ ის, თუ ვინ რას წარმოადგენს.

დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ ევროპა (მ.შ. ჩვენც), წარმატებით გაუმკლავდება რუსეთის ხელისუფლების ცინიკურად აგრესიული პოლიტიკიდან გამომდინარე სერიოზულ, გლობალურ რისკებს, რაშიც საქართველო აუცილებლად შეიტანს საკუთარ წვლილს და გამონახავს ევროკავშირის ბიუროკრატიაში არსებული პრობლემების მოსაგვარებელ გზებსაც.

**შესაძლოა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოსდა ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას ვცდილობ, თუმცა კი საქმე პირიქითაა – ჩემი (და ვფიქრობ, არა მარტო ჩემი) სურვილია, რომ დასავლეთის პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის წარმატება, კერძოდ, ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია მიაჩნიათ, უპირველეს ყოვლისა თავიანთი ქვეყნებისთვის სარგებლის მომტანად, გაერკვნენ ჩვენი საზო-**

**ანზორ ჭლიკაძე,**
4 სექტემბერი, 2022 წ.

# მამაძაღლი ქართველები უკრაინაში

## არახამია ივანიშვილს მოიხსენიებს ოლიგარქად, არადა, თვითონ გახდა ოლიგარქი



**უკრაინის რადაში ფრაქცია „ხალხის მსახურის" თავმჯდომარემ, დავით არახამიამ მორიგი ვიდეო მიმართვა გაავრცელა, სადაც ბიძინა ივანიშვილსა და უკრაინის კორუფციასთან ბრძოლის სააგენტოს მიერ სასანქციო სიის გამოქვეყნებას ეხმაურება.**

მისი განცხადებით, აღნიშნული სააგენტო საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობითაა დაფუძნებული და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირისთვის სანქციების ფორმულირების მთავარ სააგენტოს წარმოადგენს.

**„ამ ვიდეოს ჩაწერა რამდენიმე დღით გადავიფიქრე, რადგან საქართველოს მთავრობის მხრიდან მოსალოდნელ ისტერიულ რეაქციას ველოდებოდი, რომელიც ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოსთან დაკავშირებულ ჩემს მიერ ადრე დაანონსებულ მოვლენებს ეხებოდა. ეს სააგენტო საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობითაა დაფუძნებული და ის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირისთვის სანქციების ფორმულირების მთავარ სააგენტოს წარმოადგენს.**

**ეს სააგენტო სანქციების პოლიტიკის საერთაშორისო ჯგუფში შედის. ჩემს საიტზე – щар ин Украине, ბიძინა ივანიშვილზე და მის უახლოეს გარემოცვაზე, კონკრეტულად კი იმ ბიზნესმენებზე, რომლებიც მის რეჟიმს აფინანსებენ, სანქციების დაწესების რეკომენდაცია განვათავსე. ამ პაკეტში ჯერჯერობით მისი პოლიტიკური გარემოცვის წევრები არ არიან. ეს შემთხვევითობა არ არის, რადგან ამ ეტაპზე ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ოლიგარქისა და მისი დამფინანსებელი წყაროების წინააღმდეგ უნდა ვიმოქმედოთ, რაზეც ევროკომისიამაც რეკომენდაციის სახით უკვე ისაუბრა.**

**ამ ადამიანებს საქართველოში ყველა იცნობს. შეუძლიათ ინტერნეტში ამ ადამიანების სია ნახონ. ქართულმა მედიამ ეს სია უკვე გაავრცელა. ეს პირველი ეტაპია, რომლის ვერიფიკაციის შემდეგაც ეს დოკუმენტები სანქციების საერთაშორისო ჯგუფს გადაეგზავნება. ჯგუფის წევრები ამ დოკუმენტებს გადახედავენ და მონაწილე ქვეყნები გადაწყვეტილებას ერთხმად მიიღებენ. როგორც შეგპირდი, ბატონო ივანიშვილო, დიდი მოკითხვა უკრაინიდან. მუშაობას ვაგრძელებთ. ძვირფასო ქართველებო, სამწუხაროდ, თუ თქვენი ძალებით ვერ ახერხებთ დეოლიგარქიზაციას, ჩვენ დაგეხმარებით",** – განაცხადა არახამიამ.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** დავით არახამიას მიმართვას ბიძინა ივანიშვილის მიმართ ხსნის, „ხალხის პარტიის" თავმჯდომარის დანაშაულის გადაფარვით.

**„უკრაინის ანტიკორუფციულმა სააგენტომ შეისწავლა მასალები, რომლის მიხედვითაც მიხეილ სააკაშვილის მეგობრების დავით არახამიას და იულია ტიმოშენკოს მხრიდან ჰუმანიტარული ტვირთის გატაცება დასტურდება. ამიტომ უკრაინელი ხალხის სახით არახამიას განსაკუთრებული სამჯავრო ელოდება. „ხალხის პარტიის" თავმჯდომარემ საკუთარი დანაშაული რომ გადაფაროს, ასეთ განცხადებებს აკეთებს. ეს არის კუთხეში მოქცეული ვირთხის ბოლო გაფართხალება. არახამია არის კლასიკური ტიპის კრიმინალი"...**

დამნაშავე არახამიას „ნაციონალური მოძრაობის" წევრები განუდგებიან, ისევე როგორც მეგის ქარდავას განუდგნენ.

**„ნაციონალური მოძრაობა" სიტუაციას როგორც დაინახავს, ისე იმოქმედებს. მსგავსი რამ რა, არ გაუკეთებიათ თუ რა?! გავიხსენოთ მეგის ქარდავა, რომელიც მათთვის ამომავალი ვარსკვლავი იყო. როგორც კი ქარდავა დაიჭირეს, ყველამ ერთხმად ჩაქოლა, ასევე იქნება არახამიას მიმართაც. დიდი ეჭვი მაქვს, რომ აქაურ „ნაციონალურ მოძრაობის" წევრებს არახამიას ბედი კი არა, უკრაინაში საკუთარი კრიმინალური ბიზნესები უფრო აინტერესებთ",** – აღნიშნა ანალიტიკოსმა.

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** „ხალხის პარტიის" თავმჯდომარის მორიგ მუქარას შემდეგნაირად ხსნის:

**„არახამიას დავალება ვინმემ შეუცვალა? მას ნუ განვიხილავთ როგორც განყენებულ უკრაინელ ჩინოვნიკს. ის ერთიან საერთაშორისო პროექტში შემავალი ერთ-ერთი ჭანჭიკია, რომლის ნაწილი ამერიკაში იმყოფება, ზოგი ევროკავშირშია, ნაწილი უკრაინაშია წარმოდგენილი და ზოგიც საქართველოშია. აღნიშნული საერთაშორისო პროექტი აერთიანებს მოთამაშეებს თავის ზე-ამოცანებით, რომელთა ერთი ნაწილი საქართველოზე გადის. საქართველოზე ზე-ამოცანა გადის იმ მოცემულობაში, რომ აქ ამ საერთაშორისო პროექტისთვის მიუღებელი ხელისუფლება აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ამას ბოლო ათლი წლის განმავლობაში ვერანაირი გზებით ვერ ახერხებენ – ვერც არჩევნების გზით, ვერც კანონიერი გზით, ვერც რევოლუციური მუხტის აწევით, ვერც ამ მუხტში არასამთვარებო სექტორის ჩართვით, ვერც ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბებით და ვერც ამ პროცესებში ამა თუ იმ ქვეყნის ელჩების ჩართვით",** – აღნიშნა ქართველიშვილმა.

ანალიტიკოსის თქმით, არახამია მიეკუთვნება იმ საერთაშორისო პროექტის წარმოამდგენლის ნაწილს, რომელსაც კანონის უზენაესობა არ ეხება. დავით ქართველიშვილის განმარტებით, „ხალხის პარტიის" თამჯდომარეს ორმაგი მოქალაქეობა აქვს და ამაზე უკრაინაში თვალს ხუჭავენ.

**„არახამია არის „მამაძაღლი", რომელსაც კანონის უზენაესობა არ ეხება – უკრაინაში ორმაგი მოქალაქეობა დაუშვებელია, მაგრამ ყველა თვალს ხუჭავს იმაზე, რომ არახამია არის აშშ-ის პასპორტის მფლობელი და ასევე უკრაინის მოქალაქეა. ეს უკანონობაა. მეორე – უნამუსობაა ის, რომ რუსეთთან გაგანია ომის დროს, სწორედ არახამია გამოდის ცნობილი რუსი ოლიგარქის, რომან აბრამოვიჩის დამცველად ბრიტანეთის სასამართლოს წინაშე და სპეციალური წერილითაც მიმართავს. წერილში ვკითხულობთ: „იქნებ, ბატონი რომან აბრამოვიჩი გამოიყვანოთ სანქცირებული ოლიგარქების სიიდან. რუსი ოლიგარქი არის უკრაინელი ხალხის დიდი მეგობარი და მას კოლოსალური წვლილი მიუძღვნის რუსი და უკრაინელი ტყვეების გაცვლის პროცესში". ეს არის ბლეფი. დაუდასტურებული ინფორმაციით, ამ წერილის შეთხზვაში არახამიამ აბრამოვიჩისგან უკვე მიიღო საკმაოდ დიდი თანხა. უფრო დიდი თანხა უნდა მიეღო, თუკი ბრიტანეთის სასამართლო ამ წერილზე რომან აბრამოვიჩის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებდა, მაგრამ არ მიიღო. თუმცა ის ბე, როგორც ჩანს არახამიამ აიღო, რომელიც სოლიდურ თანხას წარმოადგენს",** – განუცხადა For.ge-ს დავით ქართველიშვილმა. მისივე თქმით, არახამია ივანიშვილს კი მოიხსენიებს ოლიგარქად, მაგრამ თავად გადაიქცა ოლიგარქად...

**ქეთი გიორგაძე**

# რუსმა ლორებმა ბიჭვინთაც „მოხნეს“!..



## გამოქვეყნდა „ბიჭვინთის“ თაობაზე შეთანხმების პირობები

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის „საელჩომ“ რუსეთისთვის ბიჭვინთის ყოფილი სახელმწიფო აგარაკის გადაცემასთან დაკავშირებით შეთანხმების ტექსტი გამოაქვეყნა.

**„შეთანხმება რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ობიექტის რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში გადაცემის და მისი გამოყენების წესის შესახებ“ გამოქვეყნებულია რუსულ და აფხაზურ ენებზე.**

**დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში გადასაცემი „ობიექტი“ მოიცავს მოძრავ და უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთებისა და ზღვის ტერიტორიის ნაწილის გარდა). აფხაზური მხარე მას რუსეთს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში უსასყიდლოდ გადასცემს.**

**რუსულ მხარეს 49 წლის ვადით, ყოველწლიურად 1 რუბლის საფასურად გადაეცემა მიწის ნაკვეთები, მასზე დამაგრებული ობიექტით და ობიექტის მიმდებარე ზღვის აკვატორიის მონაკვეთით. არენდით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე, მოსკოვს აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით კაპიტალური მშენებლობის წარმოების უფლება აქვს, შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე საკუთრების უფლებაც რუსეთის მხარის იქნება.**

**დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსული მხარე „ობიექტს, მიწის ნაკვეთებს და ზღვის აკვატორიის მონაკვეთს სახელმწიფო დაცვას დაქვემდებარებული პირების მონაწილეობით სახელმწიფო ღონისძიებების ჩასატარებლად და ასევე მათ დასასვენებლად გამოიყენებს“.**

**„ობიექტის ექსპლუატაცია არ უნდა განხორციელდეს აფხაზეთის სუვერენიტეტის, უსაფრთხოების, პოლიტიკური, სამხედრო, სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ინტერესების საზიანოდ“,** — ნათქვამია ხელშეკრულებაში.

**მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება იდება 49 წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება კიდევ 15 წლით, თუ ერთი მხარე მეორეს წერილობით არ აცნობებს მისი შეწყვეტის შესახებ, ვადის ამოწურვამდე მინიმუმ 6 თვით ადრე. ხელშეკრულების შეწყვეტა ამ შემთხვევაში არ გამოიწვევს უძრავ- მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შეწყვეტას.**

---

# რუსეთი აფხაზეთის ახალგაზრდობას ომში მიერეკება!




## აფხაზები რუსეთის მხრიდან ოკუპაციასა და გენოციდზე საუბრობენ

**რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აფხაზეთში პროკლამაციების გავრცელება დაიწყო, რომელშიც რუსეთის მოქალაქეობის არმქონე პირებს რუსული ჯარის რიგებში გაერთიანებისკენ მოუწოდებს.**

ხალხმარავალ ადგილებში გაკრულია ფერადი პლაკატები, რომლებზეც აფხაზ ახალგაზრდებს ჯარის სანაცვლოდ მაღალ ანაზღაურებას სთავაზობენ:

მართალია, პროკლამაციებზე მითითებულია, რომ მსურველებს სამსახური კრასნოდარის სამხედრო ბაზაზე მოუწევთ, თუმცა ყველას ესმის, რომ რეალურად, ახალგაზრდობას უკრაინაში საომრად კრებენ.

ის ფაქტი, რომ ეს პროკლამაციები წინააღმეგობაში მოდის აფხაზეთის მოქმედ კანონდებლობასთან, როგორც ჩანს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს არ გაუთვალისწინებია. აფხაზეთის სისხლის სამართლის კოდექსში კი, კერძოდ „დაქირავებული მებრძოლების შესახებ“ მუხლში მითითებულია როგორც თავად დაქირავებულის დეფინიცია, ისე სასჯელი, რომელიც მას ამ საქმიანობაში მონაწილეობის გამო ეკისრება.

**აფხაზეთის სს კოდექსის 368-ე მუხლი:**

**დაქირავებულ მებრძოლად მიიჩნევა პირი, რომელიც მოქმედებს მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით და არ წარმოადგენს იმ ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებებში; რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არ წარმოადგენს პირს, რომელსაც შესაბამისი ოფიციალური ვალდებულებები ეკისრება.**

შეუძლებელია, რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და საკუთრივ კრასნოდარის სამხედრო ბაზის წარმომადგენლებს არ სცოდნოდათ აფხაზეთში მსგავსი ქმედებებისთვის გათვალისწინებული საკმაოდ მკაცრი სასჯელის შესახებ, თუმცა მაინც მიიღეს გადაწყვეტილება, აფხაზი ახალგაზრდობა მაღალი ანაზღაურებით რუსული ჯარის რიგებში შეიტყუონ. რატომ? — პასუხი მარტივია: მათ ფეხებზე ჰკიდიათ ჩვენი კანონმდებლობა, რადგან აფხაზეთს უკვე „საკუთარ ტერიტორიად“ მიიჩნევენ.

მაგრამ ეს ყველაფერი „ლირიკაა“. ერთ-ერთი აფხაზური ტელეგრამ-არხის ინფორმაციით, უკრაინაში კონტრაქტების საფუძველზე საომრად გაგზავნის მიზნით აფხაზეთში ახალგაზრდობის შეკრების პუნქტების გახსნა იგეგმება და ჯგუფს, რომელიც წინა ხაზზე იომებს, „შტორმი“ ერქმევა.

ეს კი უკვე ძალზე სერიოზულია! საქმე იმაშია, რომ აფხაზეთის მიმართ კრემლის რიტორიკა ბოლო დროს საგრძნობლად გამკაცრდა. თუ ადრე რუსები მათთვის სასურველ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა შეხვედრების, მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების საფარქვეშ აღწევდნენ, დღეს აფხაზეთისა და მისი მოსახლეობის მიმართ თავის რეალურ დამოკიდებულებასა და ზრახვებს აღარ მალავენ.

**„რუსები მიწებს გვართმევენ, გვაშინებენ, ლამის ციხეებში ჩაგდებით გვემუქრებიან ყველას, ვინც ეწინააღმდეგება მათ პოლიტიკას. ახლა კი უკვე ახალგაზრდობით დაკავდნენ, მისი საუკეთესო ნაწილით! მოხუცები და ქმედითუუნაროები თავის ჯარში, ცხადია, არ სჭირდებათ. მათ სჭირდებათ საუკეთესოები. რა ჰქვია ამას, თუ არა აფხაზი ხალხის გენოციდი?!“,** — აღშფოთებულია ჩვენი რესპონდენტი ალისა.

**„რუსეთს სურს, გაანადგუროს აფხაზი ერის საუეთესო ნაწილი — ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც პირველად ომისშემდგომი წლების განმავლობაში, ღიად გამოხატავს საკუთარ აზრს და რიგ საკითხებში დაუფარავად უწევს წინააღმდეგობას რუსებს. რამდენჯერ გვეუბნებოდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომ რუსებს მხოლოდ ჩვენი მიწა-წყალი სჭირდებოდათ, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვუსმენდით. ახლა, როცა მიწა თითქმის დაისაკუთრეს, მათ სწორედ ახალგაზრდობა უწევთ წინააღმდეგობას, ამიტომაც რუსებს ნებისმიერი გზით მისი მოსპობა სურთ“,** — თვლის ჩვენი თანამოსაზუბრე რაუფი.

მძულს სიტყვა ოკუპაცია, მაგრამ აფხაზეთში რუსეთის ქმედებების გადმოსაცემად უკეთესს ვერ შეარჩევ. კრემლი აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციას ახორციელებს. უბრალოდ სხვისი ტერიტორიის დაკავება ხორციელდება არა სამხედრო ძალის გამოყენებით, არამედ ჩვენი ხელისუფლების ხელშეწყობით. და აქ მარტო ბიჭვინთასა და აიბღაზე როდია საუბარი. რუსებმა უკვე აფხაზ ახალგაზრდობას დაადგეს თვალი, რომელიც მზადაა, სისხლის ბოლო წვეთამდე დაიცვას სამშობლოს ინტერესები.

აფხაზური საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მითიური წარმოდგენა აქვს მეგობარზე, მოკავშირესა და სტრატეგიულ პარტნიორზე, რომელიც ვითომდა იცავს აფხაზეთს მტრის შემოჭრისა და თავდასხმისგან. არ ვიცი, არ ესმით, თუ გარკვეული პირადი ინტერესების გამო თავს იკატუნებენ, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ერთი მეორის მიყოლებით განვითარებული მოვლენები ნათლად აჩვენებს, რომ თუ ვინმეა აფხაზეთის მეგობარი, ეს რუსეთი ნამდვილად არაა. ქვეყანა, რომელსაც თუნდაც მცირე, მაგრამ სხვისი ტერიტორიის მისაკუთრება და აფხაზი ერის საუეთესო ნაწილის განადგურება სურს, კეთილმოსურნე ვერ იქნება!

**„კიდევ რა უნდა ჩაიდინონ რუსებმა, რომ ჩვენ — აფხაზებმა სიმართლეს გავუსწოროთ თვალი? არავითარი მეგობრობა ჩვენს შორის არაა და როგორც ჩანს, არც ყოფილა. მთელი მსოფლიოს გასაგონად აღებული ვალდებულების გამო რუსეთს აქამდე ჩვენი შთანთქმა არ შეეძლო. მაგრამ ახლა, როცა რუსეთს მსოფლიოს აზრი აღარ აინტერესებს, რაც უკრაინაში გაჩაღებულმა ომმა ცხადყო, ვალდებულებებს აღარანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ახლა რუსებისთვის მორიგი დაუსრულებელი საქმე ვართ და მის დასასრულებლად ხელსაყრელი დრო სწორედ დღეს უდგას, როცა მთელი მსოფლიო უკრაინის მოვლენებითაა დაკავებული. კრემლის მაღალ კაბინეტებში აფხაზეთის ბედი უკვე გადაწყვეტილი აქვთ. რაც ადრე მივხვდებით ამას, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის“** — თვლის ჩვენი რესპონდენტი ანატოლი.

ფერადი პლაკატების თემას აფხაზეთში უკვე რამდენიმე დღეა, განიხილავენ და ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობას არც ერთი სიტყვა არ მოუსმენია არც მთავარსარდალ ასლან ბჟანიასგან, არც თავდაცვის მინისტრ ვლადიმირ ანუასგან, არც სხვა რომელიმე მაღალჩინოსნისგან, რომელთაც აფხაზმა ხალხმა სამშობლოს ინტერესების დაცვა მიანდო. ეს ძალზე სავალალო ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ისინი ინფორმირებულები იყვნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის ყველა ქმედების შესახებ და დუმდნენ, ეს კი უკვე სისხლის სამართლის კოდექსის სულ სხვა — სახელმწიფო ღალატის მუხლია.

**აფხაზეთის სს კოდექსის 273-ე მუხლი:**

**სახელმწიფო ღალატად მიიჩნევა ქმედებები, რომელსაც აფხაზეთის მოქალაქეები რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ ჩაიდენენ (მტრის მხარეს გადასვლა, ჯაშუშობა, უცხო ქვეყნისთვის სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოს გაცემა, უცხო ქვეყნის დახმარება აფხაზეთის რესპუბლიკის მიმართ მტრულ საქმიანობაში).**

როგორც ჩანს, აფხაზ ხალხს არჩევანის გაკეთების დრო დაუდგა: ან კვლავაც მოთმინებით ვეთაყვანებით რუსეთს და ვკარგავთ სამშობლოს, ან ნებისმიერი შესაძლო გზით ვეწინააღმდეგებით მას. სხვა ალტერნატივა, სამწუხაროდ, არ არსებობს. რუსეთი აფხაზეთის განადგურების ფინალურ ფაზაში გადავიდა და უკან დაბრუნების ან რამეზე მოლაპარაკებისთვის დრო აღარ დარჩა.

**კრისტინა ავიძბა**

# „ძალიან თავხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,



## – აგრე იტყოდა ფრიდრიხ ნიცშე

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

## კულტურა

გაზეთების ექო ერთადერთი რამ ექოა, რის წყალობითაც მოვლენები აჩენენ სიდიადეს.

*   *   *

ადამიანისადმი თაყვანისცემა – ნიშნავს კულტურის წინაშე უდიდესი დანაშაულის ჩადენას.

*   *   *

ბევრს აქვს მდიდარი შინაგანი გამოცდილება და დანარჩენ ადამიანთ ისინი უყურებენ მშვიდი სულიერი მზერით; სწორედ ეს განასხვავებს კულტურის ადამიანთ, რომელნიც წონას მატებენ თავიანთ ხალხს.

*   *   *

საერთო საზოგადო გემოვნების ცვლა ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე საერთო საზოგადო მოსაზრებათა გაცვლა; მოსაზრებანი მთელი თავიანთი მტკიცებულებებით, შეპასუხებებით და მთელი ინტელექტუალური მასკარადით მხოლოდ და მხოლოდ შეცვლილი გემოვნების სიმპტომებია და არა მიზეზები, რომელთაც ხშირადრე სიმპტომებად მიითვლიან.

*   *   *

ყოველგვარი კულტურა, მილიტარიზმზე დაფუძნებული, დღეს აქამომდე მაინც სუყოველ ეგრეთ წოდებულ ინდუსტრიალურ კულტურაზე მაღლა დგას: უკანასკნელნი, ინდუსტრიულ კულტურებზე ვამბობ, თავიანთი ამჟამინდელი სახით არსებობის უხამსი ფორმაა ოდესმე არსებულ კულტურათაგან.

## ხელოვნება

ამქვეყნად ბევრად მეტი ენაა, ვიდრე ადამიანები ფიქრობენ და ადამიანი ბევრად ხშირადრე ამჟღავნებს თავს, ვიდრე თავად უნდოდა. ღმერთმა უწყის, რაღა არ მეტყველებს მზის ქვეშ? თუმცა მსმენელნი მიწყივ ცოტანი არიან, ასე რომ, ადამიანი თითქოსდა ცარიელ სივრცეში ყრანტალებს: ის თავის „ჭეშმარიტებებს“ ისე ფლანგავს, ვითარცა მზე თავის სხივთ. განა დასანანი არ არის, რომ ცარიელ სივრცეს ყურები არა აქვს?

*   *   *

შერეული ხერხები ხელოვნებაში თავისი ძალების მიმართ მხატვრის უნდობლობის მაჩვენებელია, მხატვარი მიწყივ ეძებს დამხმარე საშუალებებს, მხარდაჭერას, დაცვას იმისდა მსგავსად, ვითარცა პოეტი წასაშველებლად უხმობს ფილოსოფიას, მუსიკოსი – დრამას, მოაზროვნე – რიტორიკას.

*   *   *

...ხელოვნება ვალდებულია, რომ დაფაროს ან შენიღბოს სუყოველივე უხამსობა, მძიმე, საშინელი, სისაძაგლე რამ – რაიც, არცრა ზნეობის კულტურის მიუხედავად, მუდამ ამოხეთქავს ვითარცა ადამიანის უბნების წარმოშობის შედეგი.

*   *   *

ხელოვნებამ ზემოქმედება უნდა მოახდინოს ადამიანის ვნებებზე, სულიერ ტანჯვა-წვალებაზე, თავზარდამცემ ამბებზე და ყოველგვარ სისაძაგლეს ცნობილი მნიშვნელობის ელფერი მიანიჭოს.

*   *   *

...მუსიკა აფექტების სიმბოლური ენაა...

*   *   *

მუსიკა, თითქოსდა ბოლო ყვავილთაგანი, ისე ყვავის, რომლის ყვავილმაც აუცილებლად უნდა გაიხაროს ამ თუ იმ კულტურის ნიადაგზე გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში. ის შემოდგომით ჩნდება, თვითონ კულტურის ჩაკვდომის წინარე...

*   *   *

უკეთუ მუსიკის ქალღმერთი მოინდომებდა არა გონებით, არამედ სიტყვებით ლაპარაკს, ადამიანთ ყურების დაცობა მოუწევდათ.

*   *   *

თანამედროვე მუსიკაში ჟღერს რელიგიისა და მგრძნობელობის ერთიანობა, რაიც იმას ნიშნავს, რომ ამაში მეტი მდედრია, ვიდრე ადრე ოდესმე.

*   *   *

მშვენიერის წინარე ენის ჩავარდნა არის ღრმა მოლოდინი, უნაზესი, შორეული გონების ყურისგდება...

*   *   *

ქმნისა და გარე სამყაროს ჩაკვირვების დაუცხრომელი სურვილი მხატვარს ხელს უშლის სრულყოფილების ანდა, სხვა სიტყვებით, თავისი თავის შესაქმეში.

*   *   *

ადამიანი, ვინც თავისი ხელოვნებით აკმაყოფილებს თანამედროვეობის საუკეთეს ადამიანთ, ვერ დააკმაყოფილებს იმით მომავლის საუკეთესო ადამიანთ.

*   *   *

ჩემი ხელოვნების მიმართულება არის არა იქ ქმნის განგრძობაში, სადაც საზღვრები გადის, არამედ იქ, სადაც გადაშლილია ადამიანის მომავალი! აუცილებელია სახეები, რომელთა მზერითაც შესაძლებელი იქნება სიცოცხლე!

*   *   *

ნიჭიერება, რომელიც ირჩევს ზნეობრივ სიუჟეტებს, სახეებსა და მოტივებს – ხელოვნების ნაწარმოებთა ამ უმშვენიერეს სულს, – ხანისად შუშის თვალია. ამ თვალს მხატვარი იდგამს თავისი საკუთარი ნამდვილი და მშვენიერი სულის უქონლობის გამო.

*   *   *

თავდაპირველად აუცილებელია ქმნილების შედეგები, მერმე იმ ქმნილების შემოქმედის შეგუება, რომელი შემოქმედიც ოდენ სიმბოლოებით ლაპარაკობს.

*   *   *

უკეთუ ადამიანი თავისი აზრთა გამოხატვას ისწავლის, იმის დაჯერებას უკვე ვერ შეძლებენ – სჯერათ ოდენ იმათი, ვინაც ენას უკიდებს.

*   *   *

რწმენას შეიცავს ფორმა, ურწმუნოებას შინაარსი – ამაშია სენტეციის მთელი ეშხი, მაშასადამე, ზნეობრივი პარადოქსი.

*   *   *

ცუდია, უკეთუ კარგი აზრები ნამეტანი სწრაფად მისდევენ ერთმანეთს და ჩრდილავენ ერთურთს. ამიტომ უდიდესი მხატვრები და მწერლები უხვად სარგებლობდნენ შუალედურობით.

*   *   *

დიდმა მხატვრებმა მოიგონეს, რომ იმათი ხელოვნება შეიძლება რომ ადამიანის სულს დაეუფლოს და დააკმაყოფილოს ის. სინამდვილეში – და ხშირადრე იმათდა სავალალოდ – სული კიდევ უფრორე უკმაყოფილო, უძღები ხდება, ასე რომ, ათობით დიდ მხატვარსაც არ ძალუძს იმისი დაკმაყოფილება.

*   *   *

სუყოველი ნაწამროები, ნაქმი, უნდა აღნიშნავდეს გამარჯვების, უფრორე სწორად – საკუთარი თავის ძლევას, რა ძლევაც ეცნობება სხვათაც იმათივე სასარგებლოდ...

*   *   *

მხატვრული პარტიის ჭეშმარიტი ფანატიკოსნი არიან ის ადამიანები, ვინაც სრულიად მოკლებულია მხატვრულ ალღოს, ვინაც ვერ სწვდება ხელოვნების ელემენტებსა და იმის ძალას და ხელოვნების ელემენტარულ ზემოქმედებას მიმართავს. ესეგვართათვის არცრა ესთეტიკური სინდისი არ არსებობს და, მაშასადამე, არცრა არის რა, რასაც შეეძლო იმათი შეკავება ფანატიზმისგან.

*   *   *

ხელოვნებაში მიზანი არ ამართლებს საშუალებებს; თუმცა წმინდა საშუალებებს ძალუძთ მიზნის კურთხევა.

*   *   *

არაოდენ გონივრულ კრიტიკას, არამედ უსამართლოსაც უნდა და ცალმხრივსაც ძალუძს გაკრიტიკებულისთვის იმდენი კმაყოფილება, რომ ქვეყანა მადლიერებით უნდა მიემშვიდობოს სუყოველგვარ ნაწარმოებსა და საქციელს, ბევრ კრიტიკას რომ იწვევენ: დიახაც კრიტიკა მიათრევს სიხარულის, გონებამახვილობის, გაკვირვების, სიამაყის, რჩევა-დარიგებისა და თვითსრულყოფილების საბაბთა ბრწყინვალე კუდს.

*   *   *

მწერნი ინესტრებიან არა იმის გამო, რომ ბრაზობენ, არამედ იმიტომ, რომ იმათაც უნდათ წყურვილის მოკვლა, აგრე არიან ჩვენი კრიტიკოსნიც, იმათ ჩვენი სისხლი უნდათ და არა ჩვენი ტკივილი.

*   *   *

უკეთუ მხატვართ უფრორე მეტი იყვეს, ვიდრე უბრალოდ მხატვარია – მაგალითად, თავისი ხალხის ზნეობრივი მეთაური – ვითარცა ამის გამო სასჯელი, ბოლოს და ბოლოს, უყვარდება ზნეობრიობის ურჩხული და, ამასთანავე, მუზის დაცინვის საგანი ხდება: ეს გულკეთილი ღვთაება ხანისად ეჭვიანიც და ბრაზიანიც არის.

*   *   *

გენიოსთ ბევრად უკეთესად ძალუძთ თავიანთი არღნის მიფანიერება, ვიდრე ნიჭიერ ადამიანთ, რასაც ისინი საბურვლის უხვი ნაკეცებით ახერხებენ, ოღონდ მით უმეტეს იმათაც შეუძლიათ იმავე შვიდივე პიესის დაკვრა.

*   *   *

ხალხსაც აქვს იმის წილი რამ, რასაც მხატვრულ მოთხოვნილებას უხმობენ, ოღონდ ეს წილი უმნიშვნელოა, და იმის დაკმაყოფილება შესაძლებელია მარტოოდენ ყოვლის უფრორე იაფი ხერხებით...

*   *   *

მხატვრული მოთხოვნილებანი, მაღალ სტილს რომ განეკუთვნებიან, ამჟამად მარტოოდენ განსაკუთრებულ ადამიანთ აქვთ.

*   *   *

ბერძნები ხელოვნებაში ეძებდნენ გამოსავალს, რაც იმათ კმაყოფილებისა და ჯანმრთელობის გრძნობით აღავსებდა. იმათ უყვარდათ თავიანთი სრულყოფილებით ზედმეტჯერ ტკბობა, იმათ თავიანთი თავით ნეტარებ ხელოვნების ხარისხში აჰყავდათ, როგორც რომ ჩვენს თანამედროვეთ – თავიანთი თავით უკმაყოფილება.

*   *   *

ცნობილი ბერძნული სიცხადის, გამჭვირვალობის, უბრალოებისა და წესრიგის წყალობით, იმათი კრისტალური ბუნებრიობის და ამასთანავე კრისტალური მხატვრულობის წყალობით, თანამედროვე ადამიანები იოლად ეთანხმებიან იმ აზრს, რომ სუყოველი ეს თვისება იმათ მუქთად ერგოთ, მაშასადამე, სხვაგვარად შესაქმე არ ძალედვათ.

*   *   *

ოდეს ადამიანი ბევრად ბრძენი და ჰარმონიული ხდება, ის მარტოოდენ ისეგვარი ხელოვნებით ტკბობას სწავლობს, რომელიც ჭარბი ცხოვრებისეული სიბრძნისა და ჰარმონიასებრ იფრქვევა ჰომეროსის, სოფოკლეს, თეოკრიტეს, კალდერონის, რასინის, გოეთეს მსგავს შემოქმედთა ბუნებიდან და უარყოფს ბარბაროსულ, თუმცა მხურვალე და ჭრელ იერსახეთა მომხიბლავ შადრევანს, აულაგმავ-ქაოსური სულიდან რომ ჩქეფს და რომელ ადამიანსაც ახალგაზრდობაში ხელოვნებად მიაჩნია.

*   *   *

...ცხოვრების გარკვეულ ხანაში არის ისეგვარი ზიზღი სუყოველი გაწონასწორებულის, ერთფეროვნის, უბრალო და ლოგიკურის მიმართ და ისეგვარი დაძაბული, აღგზნებული ხელოვნების მოთხოვნა, რომ მხატვართ უხდებათ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება იმის თავიდან ასაცილებლად, რა არი დანარჩენი სულიერნი ამ ასაკში სხვა გზას არ დაადგნენ და დაკმაყოფილების ძიება არ დაიწყონ სხვადასხვაგვარ სისაძაგლესა და გარყვნილებაში.

*   *   *

მომხიბვლელი უწესრიგობის ხელოვნება ეჭირვება იმ მჩქეფარე დღემოუჭმელთა უმრავლესობას, გრძნობებით რომ არიან აღსავსენი და მოწყენილობით იტანჯებიან: ის ეჭირვებათ დიაცთაც, თავისთვის სულის ამავსებელი კარგი სამუშაო რომ ვერ უპოვიათ და რომელთაც ბევრად ძლიერ, ვიდრე ოდესმე, აღეძვრებათ ხოლმე უცვლელი ტკბობის, მშვიდი ბედნიერების მონატრება.

*   *   *

რატომ განაგრძობს არსებობას მხატვრულ ნაწარმოებთა ხელოვნება? იმიტომ, რომ თავისუფალი დროით მოსარგებლე ადამიანთა უმრავლესობას – მხოლოდ იმათთვის არსებობს მსგავსი ხელოვნება, – არ ძალუძს უმუსიკოდ, უთეატროდ, გალერეათა მოუნახულებლად, ლექსებისა თუ რომანების წაუკითხავად ამ ხელოვნების გამოყენება.

*   *   *

მხატვრის ერთ-ერთი ყოვლის უფრორე ძნელი და უკანასკნელი ამოცანაა წარუვალის, თავის თავში გაწონასწორებულის, ამაღლებულისა და მარტივის, ყოველგვარ კერძო სიტურფეს მოკლებულის ასახვა; ამიტომ სუსტი მხატვრები ცდილობენ ზნეობრივ სრულყოფილებას, როგორც ხელოვნების მიღმა დარჩენილის ასახვის უარყოფას...

*   *   *

ჯერეთ არ ყოფილა ისეთი მხატვარი, რომელიც შეიძლებდა დიდი ადამიანის, ერთდროულად უბრალო და განვითარებულის, ასახვას, თუმცაღა ბერძნები ამ მხრივ ყველაზე წინ წავიდნენ, შექმნეს რა ათენის იდეალი.

*   *   *

პარბ მხატვარს ხანისად ხელოვნებასა და საზოგადოებაში აზრების სარესტავრაციო სახისკენ მიუწევს გული, მაშინ ის თავისი პასუხისმგებლობით ქმნის მყუდრო კუთხეს და პატარა საღს რასმე: ის იქ თავის გარშემო კრებს თავისი საყვარელი ეპოქის ადამიანთა ნეშტს და, ცხედრებითა და ნახევრად მკვდრებით გარშემორტყმული, თავის სიმებს აჟღერებს და ამით, ალბათ, აღწევს ზემოხსენებულ წარმატებას – წარსულის დროებითი მკვდრეთით აღდგენის სახით.

*   *   *

სუყოველივე ახალს, ნარუქს, აღმოაჩენს ხოლმე არა სხვა ვინმე, არამედ ყველასთვის ცნობილი ჩვეულებრივი და არაგონიერი ფანტასტი – სხვაგვარად თუ ვიტყვით, შემთხვევა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №70, 73, 76, 86, 94, 98, 108, 121

# დიდი ბრიტანეთის დედოფალს მსოფლიო ემშვიდობება

**მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მონარქი, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე 96 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინფორმაციას ადასტურებს სამეფო ოჯახი, პირველი განცხადება კი წესების მიხედვით დიდი ბრიტანეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ლიზ ტრასმა გააკეთა.**

**მისი უდიდებულესობის დედოფლის გარდაცვალება უდიდესი შოკია ერისთვის და მსოფლიოსთვის. დედოფალი ელისაბედ მეორე იყო კლდე, რომელზეც თანამედროვე ბრიტანეთი აშენდა. ჩვენი ქვეყანა გაიზარდა და აყვავდა მისი მეფობის დროს,** — თქვა ლიზ ტრასმა. „ბი ბი სი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ დედოფალს 10-11 დღეში დაკრძალავენ. ელისაბედ მეორე 96 წლის ასაკში 8 სექტემბერს გარდაიცვალა, ის 70 წლის განმავლობაში იყო დედოფალი. მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტს, შვილი 73 წლის ჩარლზი იკავებს და ავტომატურად ხდება გაერთიანებული სამეფოს და სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის ახალი ზელანდიის, კანადის და ავსტრალიის მეფე.

**„ჩემი საყვარელი დედის, მისი უდიდებულესობის, დედოფლის გარდაცვალება უდიდესი მწუხარების მომენტია ჩემთვის და სამეფო ოჯახისთვის... ვიცი, ამ დანაკარგს ღრმად შეიგრძნობენ მთელ ქვეყანაში, სამეფოებსა და თანამეგობრობაში, ასევე ურიცხვი ადამიანი მთელ მსოფლიოში“,** — წერს დიდი ბრიტანეთის მეფე ჩარლზი.

მსოფლიოს მასშტაბით, დიდი ბრიტანეთის ყველა საელჩოში სამძიმრის წიგნები გაიხსნა, სადაც მსურველებს შეუძლიათ ჩანაწერები დატოვონ.

## მეფე ჩარლზი: დედოფალმა ელისაბედ მეორემ მსხვერპლი შესწირა მოვალეობას, მისი ერთგულება არასდროს შერყეულა

**„1947 წელს, თავის 21-ე დაბადების დღეს თანამეგობრობისადმი კეიპტაუნიდან მიმართვისას მან პირობა დადო, რომ თავის ცხოვრებას, იქნებოდა ის ხანგრძლივი თუ ხანმოკლე, თავისი ხალხის მსახურებას მიუძღვნიდა. ეს იყო დაპირებაზე მეტი. ეს იყო ღრმად პირადი ვალდებულება, რომელმაც მისი მთელი ცხოვრება განსაზღვრა“,** — განაცხადა გაერთიანებული სამეფოს მეფემ ჩარლზმა.

მონარქის თქმით, დედოფალ ელისაბედ მეორის მმართველობის დროს საზოგადოებამ იხილა მისი სიყვარული ტრადიციების მიმართ და ამავე დროს, მისი უშიშარი სწრაფვა პროგრესისკენ, რამაც დიდი ბრიტანეთი დიდ ქვეყნად აქცია. ჩარლზის თქმით, ის დედის მემკვიდრეობას გააგრძელებს.

**„თანამედროვე მსოფლიო ემშვიდობება ჩვენი დროის ყველაზე გამორჩეულ მონარქს, დიდებულ ელისაბედ II-ს, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა გაერთიანებულ სამეფოს და თავისი ხალხისადმი თავდადებული მსახურებით არა მარტო მათი, არამედ საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა.**

**ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით ვუსამძიმრებ მის უდიდებულესობას, მეფე ჩარლზ III-ს და მის ოჯახს, ვუსამძიმრებ დიდი ბრიტანეთის ხელისუფალთ და ბრიტანელ ხალხს, საერთოდ ყველას, ვისთვისაც მისი უდიდებულესობის, დედოფალ ელისაბედის, ხსოვნა ძვირფასია“.**

სამძიმრის ტექსტში პატრიარქი აღნიშნავს, რომ მას ჰქონდა ბედნიერება ელისაბედ მეორესთან ბუკინგემის სასახლეში პირადი შეხვედრისა, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

**ილია მეორე.**

**„მისმა უდიდებულესობამ, დედოფალმა ელისაბედ II-მ იცხოვრა თავისი ხალხის, ერისა და თანამეგობრობისადმი ერთგულებით, სიმტკიცის, ღირსების და დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულების მოდელით, რომელმაც ისტორიაში უნიკალური ადგილი დაიმკვიდრა. ჩემი ფიქრები და ლოცვები სამეფო ოჯახთანაა“.**

**სალომე ზურაბიშვილი**

**„გულითადად ვუსამძიმრებთ სამეფო ოჯახს, გაერთიანებული სამეფოს მთავრობას და ხალხს. მისი უდიდებულესობა, დედოფალი ელისაბედ II იყო ლიდერი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში უძღვებოდა ერს, იყო პატივისცემის და სიყვარულის ობიექტი. ის თაობებს ემახსოვრება!**

**ირაკლი ღარიბაშვილი**

## მეფე ჩარლზმა უილიამი და კეიტი უელსის პრინცად და პრინცესად გამოაცხადა

**გაერთიანებული სამეფოს მეფე ჩარლზმა უფროსი შვილი უილიამი და მისი მეუღლე კეიტი უელსის პრინცად და პრინცესად გამოაცხადა**, — ამის შესახებ ჩარლზმა მიმართვისას განაცხადა.

პრინც უილიამის მეუღლე კეიტი, პრინცესა დაიანას გარდაცვალების შემდეგ, პირველი ქალი იქნება, რომელიც უელსის პრინცესას ტიტულს ატარებს. ჩარლზმა ასევე ისაუბრა უმცროს შვილზე, ჰარიზე და მის მეუღლე მეგანზე, რომლებიც აშშ-ში ცხოვრობენ, თუმცა ამჟამად ბრიტანეთში იმყოფებიან.

**„მე გამოვხატავ ჩემს სიყვარულს პრინცი ჰარისა და მეგანის მიმართ, რომლებიც განაგრძობენ თავიანთი ცხოვრების ზღვის გადალმა შენებას“,** — აღნიშნა მონარქმა.





# რა შეიცვლება დედოფლის გარდაცვალების შემდეგ

**70-წლიანი მმართველობის განმავლობაში, ელისაბედ მეორე გახდა ბრიტანელების ყოველდღიურობის ნაწილი. დედოფლის პორტრეტები, მონოგრამები, გამოსახულებები არის თითქმის ყველგან, რასთანაც უწევთ შეხება ყოველდღიურად ბრიტანელებს. რა შეიცვლება დედოფლის გარდაცვალების შემდეგ!**

**დიდ ბრიტანეთში** მიმოქცევაში არსებული 29 მილიარდამდე მონეტაზე დედოფლის პორტრეტია გამოსახული. ბოლოს მონეტის დიზაინი 2015 წელს შეიცვალა, როდესაც მონარქი 88 წლისა იყო. მისი მმართველობის განმავლობაში მონეტის დიზაინი ხუთჯერ შეიცვალა, დედოფლის ასაკის შესაბამისი პორტრეტით.

ჯერჯერობით სამეფო ზარაფხანისგან არავინ მოელის განცხადებას იმის თაობაზე, თუ როდის დაიწყება მონეტების მოჭრა მეფე ჩარლზ მესამის გამოსახულებით. თუმცა სავარაუდოა, რომ მონეტები დედოფლის გამოსახულებით კიდევ მრავალი წელი დარჩება მიმოქცევაში და მათი ჩანაცვლების პროცესი ეტაპობრივი იქნება. ამავდროულად, ინგლისის ბანკის განცხადებით, ბანკნოტები, რომლებზეც დედოფალი ელისაბედ II არის გამოსახული, კვლავ დარჩება გადახდის კანონიერ საშუალებად.

დედოფალი ელისაბედ II იყო პირველი მონარქი, რომელიც ინგლისის ბანკის ბანკნოტებზე გამოსახეს. დედოფალი ინგლისის ბანკის მიერ გამოშვებულ კუპიურებზე 1960 წლიდან გამოჩნდა. შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ბანკების მიერ გამოშვებულ ბანკნოტებზე დედოფალი არ არის გამოსახული. ამ დროისთვის მიმოქცევაშია ინგლისის ბანკის მიერ გამოშვებული დაახლოებით 4,5 მილიარდი ინდივიდუალური კუპიურა, რომლის ღირებულებაა დაახლოებით 80 მილიარდი ფუნტი.

* * *

**1967 წლიდან** სამეფო ფოსტის მიერ გამოშვებულ ყველა მარკაზე გამოსახულია დედოფალ ელისაბედ მეორის გვერდითი პროფილის სილუეტი.

ამიერიდან, სამეფო ფოსტა შეწყვეტს მარკებზე ელისაბედ მეორის სილუეტის გამოსახვას, თუმცა გაგრძელდება არსებულის გამოყენება მარაგის ამოწურვამდე. პარალელურად დაიწყება მზადება ახალი დიზაინის შექმნაზე.

ამავდროულად, დღის წესრიგში დადგება საფოსტო ყუთებზე გამოსახული დედოფლის მონოგრამის შეცვლის საკითხი. გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე განთავსებული 115 000 საფოსტო ყუთის 60%-ზე მეტზე გამოსახულია დედოფალ ელისაბედ მეორის მონოგრამა. შოტლანდიაში არსებულ საფოსტო ყუთებზე გამოსახულია შოტლანდიის გვირგვინი.

შოტლანდიის ფარგლებს გარეთ განთავსებულ საფოსტო ყუთებზე ახალი მეფის, ჩარლზ მესამის მონოგრამა უნდა გამოისახოს CRIII. დიდძალი რაოდენობის გამო, მონოგრამების ჩანაცვლებას შესაძლოა წლები, თუ არა ათწლეული დასჭირდეს.

* * *

**გაერთიანებული** სამეფოს ეროვნულ ჰიმნში, რომელიც მეტწილად მონარქის სადიდებელ სიტყვებს შეიცავს, სიტყვები „ღმერთო დაიფარე დედოფალი“ (God Save the Queen) ჩანაცვლდება სიტყვებით „ღმერთო დაიფარე მეფე“ (God Save the King).

1952 წლის შემდეგ პირველად შესრულდება ეროვნული ჰიმნი ამ სიტყვებით.

* * *

**ყველა** ბრიტანული პასპორტი გაცემულია მისი უდიდებულესობის (Her Majesty) სახელით. პასპორტების მოქმედება გაგრძელდება, თუმცა ახალ პასპორტებზე „მისი უდიდებულესობა“ შეიცვლება მამრობითი ნაცვალსახელით — Her Majesty-ის ნაცვლად His Majesty.



## უკრაინაში ომს 14 000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა

**გაეროს მონაცემებით, უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებულ ომს 14000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა. ამის შესახებ უკრაინაში ადამიანის უფლებების მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელმა, მატილდა ბოგნერმა ბრიფინგზე განაცხადა.**

მისივე განმარტებით, უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებს 5767 მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა, 8292 კი დაიჭრა. როგორც ბიგნერმა განაცხადა, ეს რიცხვი სავარაუდოდ გაცილებით დიდია.

## ბლინკენი: პუტინი დახმარებას ჩრდილოეთ კორეას სთხოვს



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ რუსეთმა არა მხოლოდ ვერ დაამტკიცა თავისი სამხედრო ძალა უკრაინაში შეჭრით, არამედ ახლა იძულებულია იარაღის მისაღებად სხვა ქვეყნებს მიმართოს.

**„რუსული არმია საჭირო მარაგისთვის ჩრდილოეთ კორეასა და ირანს მიმართავს. უკრაინის თავდაცვის შესაძლებლობები კვლავ იზრდება, მათი ხელმძღვანელობის, სამხედროების გამბედაობისა და მოკავშირეებისა და პარტნიორების მხარდაჭერის წყალობით“,** — აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

## ლატვიამ რუსეთიდან გაზის იმპორტი განაახლა

**რუსეთიდან ლატვიაში ბუნებრივი აირი კვლავ მიედინება. ინფორმაციას ამის შესახებ ლიეტუვური მედია ლატვიის მაგისტრალური გაზსადენების ოპერატორ Conexus Baltic Grid-ზე დაყრდნობით ავრცელებს.**

**ოპერატორის მონაცემებით ირკვევა, რომ 3 და 4 სექტემბერს რუსეთიდან ლატვიაში 3 გიგავატ საათი გაზი იყო მიწოდებული, 5 სექტემბერს — 4 გიგავატ საათი, ხოლო 6, 7 და 8 სექტემბერს — 11 გიგავატ საათი.**

ლატვიამ, ისევე როგორც ლიეტუვამ და ესტონეთმა, შეაჩერა გაზის იმპორტი რუსეთიდან აპრილის დასაწყისში, უარი თქვა კრემლის მოთხოვნაზე რუსული რუბლით გადახდაზე. თუმცა, იმპორტიორმა Latvijas Gaze-მა ეს იმპორტი ზაფხულში განაახლა და განაცხადა, რომ გაზს არ ყიდულობს უშუალოდ მისი უმსხვილესი აქციონერი გაზპრომისგან, ხოლო ანგარიშსწორებას ევროში ახორციელებს. იმ დროს Latvijas Gaze-მა უარი თქვა შუალედური მიმწოდებლის დასახელებაზე. აღსანიშნავია, რომ ივლისში ლატვიის პარლამენტმა მიიღო ცვლილებები ენერგეტიკის კანონში, რომლითაც 2023 წლის 1 იანვრიდან სრულად აიკრძალება რუსული გაზის იმპორტი.



# ირანული მინიატიურების გურჯი დიდოსტატი

**„ციცარი ლურჯი თავით და დაწინწკლული ტანით; ლურჯი, გაუხედნავი ცხენები სადღაც გარბიან. ასეთი ფერის ცხენი სინამდვილეში არ არსებობს, მაგრამ ალი-ყული ჯაბადარმა მაინც ასე დახატა“.**

**ალი-ყული ჯაბადარი — მინიატიურების მხატვარია, რომელიც მე-17-მე-18 საუკუნეების ირანში მოღვაწეობდა. მისი ნახატებიდან ახლა მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, მათგან ერთს ქართული წარწერაც ახლავს — გაურკვეველი, მაგრამ ნამდვილად ქართული ასოებით დაწერილი. სწორედ ამ წარწერის გამო ვარაუდობენ, რომ ირანის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხატვარი ქართველი იყო.**

ალი-ყული ჯაბადარი სეფიანთა ირანში, ქალაქებში ყაზმინსა და ისპაანში მოღვაწეობდა. ის მინიატიურების მხატვარი იყო. მხატვრის წარმოშობასთან დაკავშირებით ორი ვერსიაა, ალი-ყული ან ალბანელი უნდა ყოფილიყო, ან ქართველი, მაგრამ რადგანაც მის ერთ-ერთ მინიატიურაზე ქართული წარწერებია, მკვლევრები უფრო ქართველობისკენ იხრებიან.

**„მე-16 საუკუნიდან კავკასიელები მონებად მიჰყავდათ ირანში. მათ სხვადასხვა პროფესიებს ასწავლიდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, ალი-ყული ჯაბადარის წინაპარი სწორედ ტყვედ წაყვანილი ქართველი იყო“,** — ვარაუდობს ხელოვნებათმცოდნე ირინა კოშორიძე.

იმ დროისთვის ირანში განვითარებული იყო ფარანგი საზი — მინიატიურების მხატვრობის ევროპული სტილი. სპარსულ მინიატიურებში ჩნდება შუქჩრდილი, პეიზაჟი პერსპექტივით, ევროპულ ტანსაცმელში ჩაცმული პერსონაჟები, სხვადასხვა სცენარი. ირინა კოშორის თქმით, ამ მიმდინარეობას სამი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ჰყავს: მუჰამედ ზამანი, შეიჰ აბასი და ალი-ყული ჯაბადარი.

**„ისპაანმა მსოფლიო ყურადღება შაჰ აბას პირველის პერიოდიდან მიიპყრო, რადგან ის ოსმალეთს დაუპირისპირდა და დაამარცხა. ამ დროს ირანში შემოდის დასავლური სამყარო, კათოლიკე მისიონერები, ელჩები, ევროპული საქონელი, ევროპული მოდა, ნახატები, გრავიურები.... იეზუიტებს შემოჰქონდათ დასურათებული ბიბლიები, ზეთის საღებავები... ეს ყველაფერი ალი-ყული ჯაბადართან მკაფიოდ აისახა. აი, მაგალითად, სიაუშ გურჯი, რომელიც უფრო ადრე, მე-16 საუკუნეში მოღვაწეობდა, წმინდა სპარსულ მინიატიურებს ხატავდა. მისი მინიატიურები „შაჰნამეშია“ შემონახული. სიაუშ გურჯზე თითქმის არაფერი ვიცით, მაგრამ რადგან გურჯად მოიხსენიებდნენ, სავარაუდოა, რომ ისიც ქართველი იყო“.**

„Encyclopedia Iranica“ იმ ნაკლზეც წერს, რომელიც ალი-ყული ჯაბადარის ნახატებს აქვთ.

**„სივრცე ფიგურებსა და განლაგებას შორის ხშირად ორაზროვანია, რაც სურათს აუხეშებს. მიუხედავად იმისა, რომ ალი-ყული გამოცდილი ოსტატი იყო, ფერწერას, როგორც ჩანს, ზედაპირულად უყურებდა. შესაძლებელია სხვა სფეროში უფრო მეტად იყო გაწაფული და თავდაპირველად იმისთვის მოიწვიეს, რომ ევროპული გრავიურებისა და ნახატების ასლები გაეკეთებინა“.**

ალი-ყული ჯაბადარის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მინიატიურაზე შაჰი და მისი კარია ასახული. ეს მინიატიურა პეტერბურგში ინახება და მიიჩნევა, რომ მასზე შაჰი სულეიმანია ასახული.

**„აქ არის ჯაბადარის 7 მინიატიურა. ფადიშაჰები მინიატიურებს ერთად აკინძულებს აგროვებდნენ, ალბომად კრავდნენ. ეს განსაკუთრებით ინდოეთის იმპერიაში იყო პოპულარული“,** — ამბობს ირინა კოშორიძე.

ამ მინიატიურაში ორი ფიგურის თავზე ქართული ასოებია. თსუ-ის პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე ნანა გელაშვილი ვარაუდობს, რომ მინიატიურაზე არჩილ მეფეა გამოსახული და იქვე მისი სახელია მიწერილი. ის ასევე ვარაუდობს, რომ შაჰი არა სულეიმანი, არამედ აბას მეორეა, რომელთანაც ქართველი დიდგვაროვნები იყვნენ მიწვეულები.

**„მე შევეცადე ეს წარწერები ამომეკითხა. ეს უნდა იყოს ისტორიული ფაქტი, მეფე არჩილ მეორის (მეფობდა 1661-1698 წლებში) და ქართველი დიდგვაროვნების სტუმრობა შაჰ აბას მეორის კარზე. მათ შორის ასევე იყო არჩილის სიძე გივი ამილახვარი. ცენტრში მჯდომი ფიგურა შაჰ აბას მეორეა, მის უკან დიდებულები. ერთ-ერთის თავზე იკითხება წარწერა „შაჰ ნაზარი“. ცნობილია, რომ 1663 წელს შაჰ აბას მეორემ არჩილი კახეთის სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად იხმო და გამუსულმანების შემდეგ ეს სახელი უწოდა“,** — ასკვნის ნანა გელაშვილი და მე-18 საუკუნის ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძის ციტატაც მოჰყავს: **„მოეწონათ სიმხნე და სიკეთე არჩილისა, დასდვა პატივი, ვითარცა მამას შვილი მისვლოდა. ებოძა კახეთის ბატონობა. რჯული მისი და დაარქვა სახელად შაჰ-ნაზარ ხან“.**

სპარსული წყაროების მიხედვით, ირანის კარზე ალი-ყური ჯაბადარის გარდა მინიატიურების ოსტატები იყვნენ მისი შვილი და შვილიშვილიც. ჯაბადარის მინიატიურები ამჟერად ინახება ერმიტაჟსა და კერძო კოლექციებში.

**თეა თოფურია,**
**„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.**







# მეშვიდე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი თბილისში

**14 სექტემბრამდე თბილისი მეშვიდედ მასპინძლობს საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალს, რომლის ფარგლებშიც, დედაქალაქს 11 ქვეყნიდან 14 ავტორი ეწვია. ფესტივალი მწერალთა სახლის ორგანიზებით და თბილისის მერიის მხარდაჭერით იმართება.**

თბილისის მერიის ინფორმაციით, საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მთავარი თემაა „შინ“, როგორც ადამიანის იდენტობის განმსაზღვრელი ადგილი. პროგრამის სადისკუსიო თემები ამ სიმბოლოს და მის შინაარსს დაეთმობა. კვირეულის განმავლობაში იმართება პოეზიის საღამოები, პანელდისკუსიები, წიგნების წარდგენები, შეხვედრები საინტერესო ავტორებთან.

**თბილისის მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე ავტორები არიან: ანდრი ლიუბკა (უკრაინა), მარტინ სოლოტრუკი (სლოვაკეთი), ჯესიკა ტრეინორი (ირლანდია), ჯონ ოძდონელი (ირლანდია), გრეტა ამბრაზაიტე (ლიტვა), დომინიკას ნორკუნასი (ლიტვა), სერგეი ტიმოფეევი (ლატვია), დმიტრი სტროცევი (ბელარუსი), არიანე ფონ გრაფენრიდი (შვეიცარია), იუსტინა ბარგელსკა (პოლონეთი), კშიშტოფ ჩიჟევსკი (პოლონეთი), ანდრეას ფლურაკისი (საბერძნეთი), ბერნჰარდ შლინკი (გერმანია), ტარა მაკდაუელი (ავსტრალია).**

დღეს ფესტივალი ოფიციალურად გაიხსნება და ერთ-ერთი პირველი შეხვედრა უკრაინელ პოეტ ანდრი ლიუბკასთან გაიმართება. პირველ საფესტივალო დღეს დაასრულებს პოეტური ღამე „შინ“, ყველა სტუმრის მონაწილეობით.




ტრადიციულად, წელსაც ფესტივალის ფარგლებში გაიმართება მემორიალური საღამო, რომელიც გამორჩეული ამერიკელი პოეტის — რობერტ დანქენის ცხოვრებასა და პოეზიას მიეძღვნება. ფესტივალი დასრულდება თანამედროვე ქართული პოეზიის მარათონით — მულტილოკაციური კითხვით მწერალთა სახლის სხვადასხვა სივრცეში.




# ნონამ შეთანხმება ამჯობინა

## კმაყოფილები ვართ, რომ შედეგი არის!

**ჩვენი გაზეთის მკითხველი უკვე ინფორმირებულია, რომ მინისერიალ „ლაზიერის გამბიტის" გამოსვლის შემდეგ ქართველმა საჭადრაკო ლეგენდამ ნონა გაფრინდაშვილმა მის შემქნელებს სასამართლოში უჩივლა ფილმში გაჟღერებული ფაქტობრივი უზუსტობების გამო, ღირსების საქმის განხილვა კი ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონისთვის მოგების ტოლფასი მორიგებით დასრულდა.**

**თუ როგორ, დეტალებს ქვემოთ შეიტყობთ.**

მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილის ადვოკატების განცხადებით, მათი კლიენტი კმაყოფილია შედეგით, რომელიც დადგა საქმეზე **„ნონა გაფრინდაშვილი Netflix-ის წინააღმდეგ"**.

7 სექტემბერს მედიისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატმა კახა შარაბიძემ, კონფიდენციალურობის პირობის თანახმად, არ დაასახელა რა პირობით შედგა მხარეებს შორის შეთანხმება. მისი სიტყვებით ამერიკის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტულია იმდენად, რამდენადაც მან დაადგინა, რომ **„მხატვრული ნაწარმოები არ წარმოადგენს დიფამაციისგან ანუ პატივისა და ღირსების შემლახველი განცხადებებისგან თავისუფალ ზონას და ეს არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისგან მხატვრული ნაწარმოების ფარგლებში განხორციელებული დიფამაციური განცდების გამო"**.

კახა შარაბიძის განმარტებით, მორიგების თაობაზე მოლაპარაკების ინიციატივა წამოვიდა სასამართლოს მხრიდან, **„სასამართლოს მიერ შერჩეული მედიატორის მეშვეობით განხორციელდა ეს პროცესი, რაც შეთანხმების მიღწევით დასრულდა."**

**„კმაყოფილები ვართ, რომ შედეგი არის ქალბატონი ნონას ინტერესებში",** — ამის შესახებ ნონა გაფრინდაშვილის კიდევ ერთმა ადვოკატმა მაია მწარიაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, სარჩელზე შედეგი დადგა **„სწრაფად და ეფექტურად"**.

რაც შეეხება Netflix-ის სერიალის შინაარსის კორექტირებას, რაზეც ნონა გაფრინდაშვილი დაობდა, მაია მწარიაშვილის განცხადებით, შინაარსი უცვლელად დარჩება, თუმცა სასამართლო პროცესის შემდეგ ყველამ იცის, რომ **„ნონა გაფრინდაშვილი არის ქართველი დიდოსტატი",** რომელსაც ნათამაშები აქვს კაცი მოჭადრაკეების წინააღმდეგაც.

**„მთავარი ამბავი იყო რომ სერიალში გავიდა არასწორი ინფორმაცია, რომ ქალბატონ ნონას არასოდეს უთამაშია კაცებს შორის და ის არის რუსი, რა მოცემულობაა დღეს — სრულიად მსოფლიო პრესა და არა მარტო საჭადრაკო საზოგადოება აშუქებს ამ მოვლენას უკვე მესამედ, პირველი იყო როდესაც სარჩელი შევიდა, მეორე იყო სასამართლო გადაწყვეტილება და დღეს. და აღარავის ეჭვი აღარ ეპარება დედამიწის ზურგზე, რომ ქალბატონი ნონა არის ქართველი საჭადრაკო ლეგენდა. ეს შედეგი მიღწეულია. უკვე ფორმალურია სერიალი, ყველამ იცის, რომ Netflix-მა არასწორი ინფორმაცია გადმოსცა სცენარში. თუ ადრე, საბჭოთა პერიოდში ქალბატონ ნონას საბჭოთა მოჭადრაკედ მოიხსენიებდნენ დღეს მას მხოლოდ ქართველ საჭადრაკო ლეგენდად მოიხსენიებენ და ჩვენ ქართველებმა ძალიან დიდი კვალი დავტოვეთ ამერიკის მართლმსაჯულების ისტორიაში, ამერიკულმა სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო",** — განაცხადა მაია მწარიაშვილმა

საქმეზე „ნონა გაფრინდაშვილი Netflix-ის წინააღმდეგ", ორ მხარეს შორის შეთანხმება შედგა. მოჭადრაკე სასამართლოს გზით შეცდომის გასწორებასა და კომპენსაციას, 5 მილიონ დოლარს ითხოვდა. შეთანხმება მას შემდეგ შედგა, რაც იანვარში კალიფორნიის სასამართლომ უარყო Netflix-ის არგუმენტი, რომ არ შეიძლება უჩივლონ მხატვრულ ნაწარმოებში რეალური ადამიანის ცილისწამებისთვის.

დავა ეხება სერიალში გაჟღერებულ ფრაზას, რომელიც ნონა გაფრინდაშვილს შეეხებოდა. მხატვრულ ფილმში მოვლენები 1960-იან წლებში ვითარდება. ნიჭიერი ამერიკელი გოგონა ჩადის საბჭოთა კავშირში და ეთამაშება მთავარ მეტოქეს, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს, რომლის პროტოტიპი სავარაუდოდ გარი კასპაროვია. პარტიის დასაწყისში კადრში ჩნდება ნონა გაფრინდაშვილის პერსონაჟი, ის დარბაზში სხვა მაყურებლებს შორის ზის, ჭადრაკის კომენტატორი კი ამბობს: **„ერთადერთი, რაც ფილმის მთავარი გმირისთვის უჩვეულოა, მისი სქესია, მაგრამ რუსეთში არც ეს არის უნიკალური, აქ არის ნონა გაფრინდაშვილი, თუმცა, ის ქალთა შორის არის მსოფლიო ჩემპიონი და მამაკაცს არასდროს დაპირისპირებია"**.

რეალურად, 1968 წლისთვის გაფრინდაშვილს უკვე ნათამაშები ჰქონდა სულ მცირე 59 კაც მოჭადრაკესთან, რომელთაგან 10 დიდოსტატის ტიტულს ატარებდა.

Netflix საქმის წარმოების შეწყვეტას იმ მოტივით ითხოვდა, რომ ფილმში არსებული ფრაზა, რომლის გამოც ქართველი მოჭადრაკე დავობს, გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოში ჯდება.




**აზარტული თამაშების შესახებ კანონის გამკაცრებიდან ხუთი თვე გავიდა. პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, თამაში 25 წლამდე ყველა მოქალაქეს, ასევე სოციალურად დაუცველებსა და საჯარო სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს აეკრძალათ. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ინიციატივიდან 5 თვეში ე.წ. შავი სია მილიონ ნახევრამდეა გაზრდილი, ანუ აზარტულ თამაშებზე უკვე 1 449 124 ადამიანს აღარ მიუწვდება ხელი.**

თამაშის აკრძალვის მიუხედავად, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანთა რიცხვი ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია. ლუდომანია ყველა სქესს, ასაკს თუ პროფესიას აერთიანებს. ყველას ერთი რამ აწუხებს — დღის უმეტესი ნაწილი ონლაინ თამაშებს დაუთმონ. შემდეგ იწყება მძიმე ფინანსური, თუ ფსიქოლოგიური პრობლემები.

for.ge-თან ერთ-ერთი ლუდომანი, 30 წლამდე მამაკაცი ამბობს, რომ ის დაახლოებით, 10 წელია აზარტულ თამაშებზეა დამოკიდებული, სცადა თავის დანებება, თუმცა ჯერჯერობით ვერ შეძლო. არც კანონის გამკაცრება შეხებია, რის გამოც ე.წ. კაზინოების ექაუნთები არ დაებლოკა. მისი თქმით, სამომავლოდ აპირებს შემოსავლების სამსახურს მიმართოს, რათა შავ სიაში აღმოჩნდეს.

**„წლებია აზარტულ თამაშებზე ვარ დამოკიდებული. რა მომიტანა თამაშებმა?! ფინანსური დანაკარგის გარდა, დავკარგე ადამიანობა, ცხოვრება, ჩამომშორდნენ მეგობრები, რადგან ბოლო პერიოდში სათამაშოდ ფულს ვსესხულობდი. ლუდომანია ნარკოტიკებზე მეტად დიდი ავადმყოფობაა. მივესალმები მთავრობის გადაწყვეტილებას კანონის გამკაცრებასთან დაკავშირებით, რადგან ახალგაზრდა თაობა ამ საშინელი დაავადებისგან აღარ მოიწამლება. ჯერ ვცდილობ საკუთარი სურვილით დავანებო თამაშს თავი, ვიდრე ოჯახის წევრებიც არ დამიკარგავს, თუ არა და ვაპირებ შემოსავლების სამსახურს მივმართო, რომ შავ სიაში შემიყვანონ",** — გვითხრა ლუდომანმა მამაკაცმა.

როგორც ორგანიზაცია „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ" ხელმძღვანელი, **თამარ ჯაფარიძე** ამბობს, მოლოდინი არ ჰქონდა, რომ კანონის გამკაცრებიდან მალევე აიკრძალებოდა აზარტული თამაშები.

მისივე თქმით, ჯერ კიდევ არსებობს „შავი ხვრელები", რითაც მოქალაქეები ცდილობენ თამაშს. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გეგმავს პარლამენტს მიმართოს ინიციატივით, რათა კაზინოების ჯარიმები გაიზარდოს.

**„უზარმაზარი ბიზნესი, რომელსაც საკმაოდ დიდი კაპიტალბრუნვა აქვს, რეგულაციების ჩარჩოში მოექცა. ნამდვილად არ მქონია იმის მოლოდინი, რომ აზარტული თამაშების აკრძალვა უცბად დარეგულირდებოდა და ყველაფერი კარგად წავიდოდა. მოლოდინი მქონდა, რომ „შავი ხვრელები" აუცილებლად გაჩნდებოდა, თუმცა აღნიშნულმა კანონმა სიკეთე მოიტანა და მილიონ ოთხასი ათასზე მეტი ადამიანი ონლაინ თამაშებს ავტომატურად გამოეთიშა. რაც მთავარია, მოზარდები გამოეთიშნენ, რომლებიც მაქსიმალურად იყვნენ ჩართულები. 14 წლიდან 17 წლის ჩათვლით 48% თამაშობდა, აქედან გოგონების რაოდენობა ძალიან მაღალი იყო. დაავადების ეროვნული ცენტრის კვლევის მიხედვით, ამ ასაკში 12% უკვე ლუდომანია, 20% კი უკვე გადაჭარბებული მომხმარებელია. ასევე, აზარტულ თამაშებს გამოეთიშნენ საჯარო მოხელეები, სოციალურად დაუცველები, რომლებსაც საშუალება აღარ აქვთ სახელმწიფოს სუფსიდია შავ ბიზნესში დაატრიალონ. აკრძალვის მიუხედავად, არსებობს პრეცედენტები, რომ ახლიდან რეგისტრირდებიან, ან ოჯახის წევრების მონაცემებით თამაშობენ. ყველა პრეცედენტი აღმოჩენილია და ამ ინფორმაციას შემოსავლების სამსახურსა და ფინანსთა სამინისტროს გავაცნობთ. მათთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. სადაც სუსტი წერტილია, მისი გამკაცრება აუცილებლად მოხდება. დღეს, სამორინეები დარღვევის შემთხვევაში 10 ათასი ლარით ჯარიმდებიან და ჩვენ ვითხოვთ, რომ ჯარიმები 100 ათას ლარამდე გაიზარდოს. მესმის, რომ კანონის ამოქმედებიდან 6 თვე გავიდა და ეს დიდი დრო არ არის ვითარების დასალაგებლად, თუმცა ძალიან ბევრმა ადამიანმა ამოისუნთქა",** — განუცხადა for.ge-ს **თამარ ჯაფარიძემ.**

ქეთი გიორგაძე

## რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 104 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).**

# უფასოდ სათაგურში ყველიც არ არსებობს!

## „როდესაც ვხედავთ, რომ ჩვენი პარტნიორების დავალებით ეს ხალხი ხელისუფლების აყირავებისთვის და გადატრიალებისთვის იღვწიან, აქ უკვე საუბარი არანაირ მეკავშირეობაზე აღარ არის“

(მესამე გვერდიდან)

**რაც შეეხება ამ აგენტურის ქსელის გააქტიურებას უკრაინის ომის შემდეგ, რათა საქართველოში მეორე ფრონტის ხაზი გახსნილიყო, ამაზე ვიდრე ეს დეპუტატები საუბარს დაიწყებდნენ, მე უკვე ვლაპარაკობდი. ეს მოცემულობა იყო და არ მიმაჩნია, რომ ახლა ეს საკითხი ისევ აქტიურია. თუმცა ამ ფრონტის გასახსნელად, როგორც დასავლეთის, ასევე რუსეთის კონკრეტული პოლიტიკური ძალები მუშაობდნენ. რაც შეეხება გავლენების შექმნის პროცესს, რასაკვირველია, ასეთი ძალები არსებობენ და ეს ახალი არაა, მათ შორის — არასამთავრობო ორგანიზაციებში და ჩვენს პოლიტიკურ ძალებში“,** — ამბობს არეშიძე. მისივე თქმით, ასეთი წერილის დაწერის დროს უკეთესი იქნება, რომ დეპუტატებმა კონკრეტული ფაქტები დაასახელონ.

**„რასაკვირველია, ზუსტად ამ მიზეზების გამო შეიქმნა 2013 წელს კოჰაბიტაცია. ჩვენი პარტნიორების მხრიდან იყო მითითება, მოთხოვნა, რომ ზოგიერთი ადამიანი არ დასჯილიყო. გარდა გამონაკლისებისა, დანარჩენები დღესაც ჩადენილი დანაშაულების მიუხედავად, თავს მშვენივრად გრძნობენ. ვინც სასჯელი მოიხადა, მათ უმეტესობას იმისთვის არ მოუხდიათ სასჯელი, რაც რეალურად ჩაიდინეს. ამ ყველაფერს ახლა სხვანაირად უნდა მივუდგეთ. როცა საქართველო გამოუვალ მდგომარეობაში იყო, წლების განმავლობაში ასე ხდებოდა, იმისთვის, რომ თავი დაგვეცვა, დასავლეთთან მაქსიმალური ინტეგრაცია იყო საჭირო. უფასოდ კი სათაგურში ყველიც არ არსებობს. როცა ადამიანებთან მეგობრობა გინდა, მათი პოზიციებიც უნდა გაითვალისწინო. ამის გამო ხდებოდა ის, რომ ხშირ შემთხვევაში, ბევრი ჩვენი საქართველოს მოქალაქე, იძულებული იყო, გაეტარებინა იმ ქვეყნის ან ადამიანების ინტერესები, ვინც სასწავლებლებში ფული გადაუხადა და მათი არასამთავრობო ორგანიზაციები დააფინანსა. რა თქმა უნდა, ეს ცუდია, არავინ ამბობს, რომ კარგია, მაგრამ მსგავსი რამ მხოლოდ ჩვენს შემთხვევაში არ ხდება“,** — ამბობს არეშიძე. მისივე თქმით, ეს თემა რასაკვირველია აქტუალური უკრაინის ომმა გახადა. ასევე იმ გაუფრთხილებელმა და დაუფიქრებელმა ნაბიჯმა, რომელიც ზოგიერთმა დიპლომატმა საქართველოსთან დაკავშირებით გადადგა.

არეშიძე ამბობს, რომ არიან დიპლომატები, რომელბიც გამაღიზიანებლად იქცევიან და მათ ქმედებაში გააზრება ნაკლებია, ხოლო თავხედობა მეტი. ეს კი ქართველების გაღიზიანებას იწვევს.

**„ეს ყველაფერი ფაქტია, ომის ფონზე ხდება. ომიდან გამომდინარე ზოგიერთი დიპლომატის აქტიურობა, დაუფიქრებელი ქმედებები და განცხადებები ეჭვებს ბადებს. ჩვენს კოლეგებს დასავლეთში სულ მაგას ვეუბნები, რომ არ შეიძლება ყველა ქვეყანაში ერთნაირად მოიქცე. არსებობს მენტალიტეტი, რომელსაც ანგარიში აუცილებლად უნდა გაუწიო. რაც შეეხება ოპოზიციის განცხადებებს, რომ აქ რუსეთის აგენტურა მუშაობს, თავისუფლად გადაადგილდებიან და ა.შ. მხოლოდ იწილობიწილოა და საქმეში ჩაუხედავი ადამიანების საუბარია.**

**ჩემი დაკვირვებით, საქართველოში 9 ქვეყნის სპეცსამსახურები მუშაობენ. რა თქმა უნდა, ამ ქვეყნებს არ დავასახელებ. მათ შორის აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ასეთი ტიპის უჯრედები საქართველოს ტერიტორიაზე არის და ყოველთვის იყო. სააკაშვილი ვიღაცებს დემონსტრაციულად რომ აკავებდა, ეს იყო წვრილფეხობა და ამით რეალურად დიდი აგენტურა ინიღბებოდა. მსხვილი ღლავები ასეთ ბადეში არ ხვდებიან და ამით გადარჩებიან ხოლმე. გავიხსენოთ ევროპის ტერიტორიაზე გახმაურებული მკვლელობები. იგივე ბორჩაშვილის მკვლელობა გერმანიაში. რუსებმა შუა ევროპაში ამხელა მკვლელობა დაგეგმეს. ამიტომ აქ რაღაცა თავის გამოდებით საუბარი ცოტა ზედმეტია“,** — ამბობს არეშიძე.

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილს** მიაჩნია, იმის მიუხედავად, რომ ამერიკა საქართველოს პარტნიორი და მეგობარი ქვეყანაა, აქ აგენტურის ყოლა მაინც სჭირდება, რადგან სადაზვერვო ღონისძიებები თუნდაც სხვა მესამე ქვეყნებზე აწარმოოს. ქართველიშვილი ამბობს, რომ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობით ძალიან კარგი პლაცდარმია იმისთვის, რომ ამერიკამ იგივე სადაზვერვო ოპერაციები თავისი რეზიდენტების მეშვეობით აწარმოოს თურქეთში და ირანში. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ამერიკას აქ აგენტურის ყოლა არაფერში სჭირდება, რბილად რომ ითქვას, დილეტანტობაა.

**„ის რაც ამ 4 დეპუტატის წერილში ამოვიკითხე, აბსოლუტურად სწორი მიდგომაა. ეს არის საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყნის ინტერესებიდან ხედვა. როდესაც საქართველოს მოქალაქეები მუშაობენ ნებისმიერი პარტნიორი იქნება თუ მტრულად განწყობილი, სახელმწიფოს ინტერესებისთვის ეს დაუშვებელია და ქვეყნის ღალატია. რა თქმა უნდა, ამ რეზიდენტების არსებობის შესახებ საქართველოს სპეცსამსახურებისთვის ცნობილია, მათ აკვირდებიან და სწავლობენ. თუმცა, როდესაც ამ რეზიდენტურაში შემავალი ადამიანები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, ღიად საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებას იწყებენ და ამისთვის ღიად მუშაობენ, სულერთია ვის დაკვეთას ასრულებენ,**

**ეს იქნება რუსეთი თუ ამერიკა, უკვე დანაშაულია. როდესაც ღიად ვხედავთ, რომ ჩვენი პარტნიორების დავალებით, ეს ხალხი ხელისუფლების აყირავებისთვის და გადატრიალებისთვის იღვწიან, რა თქმა უნდა, აქ უკვე საუბარი არანაირ მეკავშირეობაზე აღარ არის“,** — ამბობს დავით ქართველიშვილი.

**ლიკა ბერიკაშვილი**



## ჩირის ახალი საწარმო ზუგდიდში

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძემ და საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩმა პეტერ მიკისკამ ქალაქ ზუგდიდში ჩირის საწარმო გახსნეს. მთავრობის თავმჯდომარემ და ელჩმა, აფხაზეთის მთავრობის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაათვალიერეს. სტუმრები ასევე ჩირის საწარმოს ფუნქციონირების სპეციფიკას ადგილზე გაეცნენ.**

აფხაზეთის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, საწარმო აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს „ეკონომიკური პროგრამების სააგენტოს“ პროგრამის ფარგლებში გაიხსნა და მასში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები დასაქმდნენ. სოციალური საწარმო ათასობით აფხაზეთიდან დევნილს მოემსახურება და მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემს მოახდინოს მოსავლის რეალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას და რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძემ და ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩმა პეტერ მიკისკამ.

პროექტს ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა და აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ორგანიზაცია „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისთვის“ ახორციელებს. დღესვე, ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა წიგნის „პრაქტიკული რეკომენდაციები ხილ-ბოსტნეულის ჩირებისა და ცუკატების წარმოების საკითხებში“ პრეზენტაცია, რომელიც დამწყებ მეწარმეებს მცირე ბიზნესის შექმნასა და განვითარებაში დაეხმარება. ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ანზორ მარგიანი და აფხაზეთის მთავრობის წევრები ესწრებოდნენ.

## „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა — ტენდენციები და გამოწვევები“ 8 სექტემბერს გაიხსნა და სამი დღის განმავლობაში 120-ზე მეტ ქართველ და უცხოელ მეცნიერს უმასპინძლა.**

ღონისძიება საქართველოს დიპლომატიურ სივრცეში დაბრუნების 30 წლის იუბილეს მიეძღვნა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა. ქართველ მეცნიერებთან ერთად საზოგადოებას სამეცნიერო სიახლეებს აშშ-ის, დანიის, ესტონეთის, ლიტვის, ფინეთის, ავსტრიის, გერმანიისა და უკრაინის სამეცნიერო თუ კულტურული დაწესებულებების წარმომადგენლებმა გააცნობენ.

ღონისძიება საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გახსნა. კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოში აშშ-ის საელჩოს კულტურის ატაშემ კრისტოფერ ანდერსონმა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილის შვილიშვილმა, მიშელ რამიშვილმა. საქართველოს ეროვნული არქივის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2016 წლიდან ტარდება. მისი მიზანი სამეცნიერო სიახლეების თავმოყრა, ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შორის მჭიდრო სამეცნიერო კავშირების სტიმულირება, ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული კვლევების ხელშეწყობა, კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის თანამედროვე მოთხოვნებთან ადაპტაციის გზების ძიება და ციფრული ჰუმანიტარიის სფეროს სიახლეების გაზიარებაა.





## დაბა ბახმაროში სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონება თაღლითურად მიითვისეს

**საქართველოს პროკურატურამ დაბა ბახმაროში სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების კიდევ 3 ფაქტი გამოავლინა და 5 პირს, მათ შორის 1 საჯარო მოხელეს, ბრალდება წარუდგინა.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წელს, ბრალდებულები საცხოვრებელი სახლის ყალბი ტექნიკური პასპორტის გამოყენებით და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტის მიერ არაჯეროვნად შედგენილი დათვალიერების ოქმის საფუძველზე, თაღლითურად დაეუფლნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ბახმაროში მდებარე 95 000 ლარის ღირებულების სამ მიწის ნაკვეთს. შედეგად, სახელმწიფოს დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი მიადგა.

**ოთხ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობა) და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყალბი დოკუმენტის შეძენა-გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინათ, რაც სასჯელის ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

საჯარო მოხელეს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა) წარედგინა, რაც სასჯელის ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურა აქტიურად აგრძელებს გამოძიებას როგორც დაბა ბახმაროში, ასევე დაბა გომისმთაში ანალოგიური დანაშაულის ჩამდენი პირების გამოვლენის და მხილების მიზნით. დაბა ბახმაროში და დაბა გომისმთაში სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა უკვე დაწყებულია 35 პირის მიმართ და სახელმწიფოს დაახლოებით მილიონი ლარის ღირებულების უძრავი ქონება უკვე დაუბრუნდა.



# პან-კავკასიური ახალგაზრდული ორკესტრი კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით წინანდლის ფესტივალში მონაწილეობდა

**კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, წინანდლის ფესტივალზე პან-კავკასიური ახალგაზრდული ორკესტრის მონაწილეობით, კიდევ ერთი კონცერტი გაიმართა, რომელსაც ვასილი პეტრენკო დირიჟორობდა. კონცერტს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი ესწრებოდა.**

მათივე ინფორმაციით, კულტურის სამინისტრომ პროექტის მხარდაჭერა წელს პირველად დაიწყო, რის შედეგადაც, 900 000 ლარი იქნა გამოყოფილი, რათა პან-კავკასიური ახალგაზრდული ორკესტრი წინანდლის ფესტივალთან ერთად დაბრუნებულიყო მსმენელის წინაშე. ორკესტრის 50 პროცენტი დაკომპლექტებულია საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა მუსიკოსებით, რაც ხელს შეუწყობს მათ განათლებას, პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.

**80 წევრისგან შემდგარი პან-კავკასიური ახალგაზრდული ორკესტრის შემადგენლობაში ჟიურის მიერ წინასწარი მოსმენების შედეგად შერჩეული, 6 სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსები მონაწილეობენ.**

აღსანიშნავია, აგრეთვე ისიც, რომ ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულ საფორტეპიანო კონცერტში ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები სანდრო ნებიერიძე და გიორგი გიგაშვილი მონაწილეობენ, რომლებიც, სამინისტროს ხელშეწყობით, ევროპის წამყვან სამუსიკო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

**წლევანდელ პროგრამაში სოლისტებს შორის მსოფლიოში განთქმული მუსიკოსები არიან: რენო კაპუსონი, ლუკას დებარგი, სონგჯინ ჩო, კრიშტოფ ბარატი, ვილდე ფრანგი, დენის კოჟუხინი, კიან სოლტანი, ნოა (ახინოამ ნინი), ლი ლა, ჟულიენ კვენტინი, დევიდ აარონ კარპენტერი და სხვა ვარსკვლავები.**

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მადლობას უხდის წინანდლის ფესტივალის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელებს ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტის მხარდაჭერის შესაძლებლობისათვის, როგორიც პან-კავკასიური ახალგაზრდული ორკესტრია.

# მწერლები, რომელთა ადრინდელ პროფესიაზე ალბათ არაფერი გვსმენია

მწერლობა ადვილი არაა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ახალბედა ხარ. რთულია არა მხოლოდ უშუალოდ წერის პროცესი, არამედ მუშაობისთვის დროის გამონახვაც. სწორედ ამიტომ — ან სულაც სხვა გარემოების გამო — ბევრი მწერალი ცხოვრების ადრეულ ეტაპზე სხვა საქმიანობას ეწეოდა. ზოგიერთი მათგანის ადრინდელი კარიერა ყველასთვის ცნობილია; მაგალითად, ბევრს გაუგია, რომ როულინგი პოტერიადის შექმნამდე მასწავლებელი იყო, თუმცა, ყველამ როდი იცის, რომ ნობელიანტი კაზუო იშიგუროს გეგმებში მწერლობა სულაც არ შედიოდა...

## 1. ხალიდ ჰოსეინი



**ჰოსეინი 15 წლის იყო, 1980 წელს ავღანეთიდან აშშ-ში ლტოლვილად რომ ჩავიდა. მაშინ მხოლოდ რამდენიმე ინგლისური სიტყვა იცოდა. მართალია, მწერლობა სურდა, მაინც აუხდენელ ოცნებას ჰგავდა ამბების მოყოლა იმ ენაზე, რომელზეც არ საუბრობდა.**

ამიტომ, გადაწყვიტა, უფრო „სერიოზული“ პროფესია აერჩია და ექიმი გამხდარიყო. მოგვიანებით კი, როცა ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ საავადმყოფოში ინტერნად მუშაობდა, დილაობით, სამსახურში წასვლამდე, ცოტ-ცოტას წერდა კიდეც. საბოლოოდ, ეს ნაწერები მწერლის პირველ რომანად — „ფრანით მორბენალი“ — იქცა, რომელსაც გამოცემისთანავე დიდი წარმატება ხვდა წილად. ამის გამო, ჰოსეინმა გადაწყვიტა, წერისთვის მთელი თავისი დრო დაეთმო და მედიცინას თავი 2004 წელს დაანება.

## 2. ჯეკ ლონდონი



**მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ამერიკელი რომანისტი ახალგაზრდობაში მრავალგვარი საქმიანობით იყო დაკავებული.**

მოზარდობისას იგი ხამანწკებზე ნადირობდა, მერე კი წყნარ ოკეანეში მცურავი გემის ეკიპაჟს შეუერთდა. 1897 წელს იგი კლონდაიკის რეგიონში ოქროს მასობრივი მოპოვების პროცესში ჩაერთო, თუმცა, სიმდიდრე და წარმატება მხოლოდ მაშინ ეწვია, როცა თავისი საქმიანობის გამოცდილება რომანებად და მოთხრობებად აქცია. 1903 წელს მან ნაწარმოები **„წინაპართა ძახილი“** გამოსცა, რომელიც მაშინვე ბესტსელერი გახდა და ავტორს საყოველთაო აღიარება მოუტანა.

**(გაგრძელება იქნება)**



# ყველაზე ცხელი ზაფხული ევროპაში

**ეს ზაფხული ამინდზე დაკვირვებიდან დღემდე ისტორიაში ყველაზე ცხელი იყო. კოპერნიკის კლიმატის ცვლილების სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2022 წლის ზაფხული 0,4 გრადუსით ცხელი იყო, ვიდრე წინა რეკორდი, რომელიც 2021 წელს დამყარდა. რეკორდულად ცხელი აღმოჩნდა აგვისტოც — 2022 წელს ზაფხულის ბოლო თვე 0,8 გრადუსით ცხელი იყო, ვიდრე 2018 წლის აგვისტო, რომელიც აქამდე ყველაზე ცხელ აგვისტოდ ითვლებოდა. გლობალურად კი 2022 წლის აგვისტო მესამე ადგილს იკავებს.**

ტყის ხანძრებსა და გვალვასთან ერთად, ევროპის ქვეყნებში რეკორდულად მაღალი ტემპერატურა დადასტურდა. მაგალითისთვის, ივლისში ბრიტანეთში ჰაერი 40.3 გრადუსამდე გათბა, პორტუგალიაში კი ამავე თვეში 47 გრადუსი დაფიქსირდა. ამასთან, ევროპაში ასევე ყველაზე ძლიერი გვალვაა ბოლო 500 წლის განმავლობაში.

# მსოფლიოს ყველაზე ხანგრძლივი მონარქი გახდა



**დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედ მეორის გარდაცვალების შემდეგ ბრუნეის სულთანი ჰასანალ ბოლკიაჰი მსოფლიოს ყველაზე ხანგრძლივი მონარქი გახდა.**

ჰასანალ ბოლკიაჰი 76 წლისაა. ის ტახტზე თითქმის 55 წლის წინ, 1967 წელს ავიდა. ყველაზე ხანგრძლივი მონარქების ჩამონათვალში მეორე ადგილზეა დანიის 82 წლის დედოფალი მარგრეტე II, რომელიც სამეფოს 1972 წლიდან მართავს.

პირველ ხუთეულში ასევე შედიან შარჯას საამიროს სუვერენული მმართველი სულთან ბინ მუჰამედ ალ-ქასიმი, შვედეთის მეფე კარლ XVI გუსტავი და ფუჯაირას საამიროს სუვერენული მმართველი ჰამად ბინ მუჰამედ ალ-შარქი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 14 სექტემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8449; ევრო - 2.8699
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3035;
100 რუბლი - 4.7067; თურქული ლირა - 0.1572;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6778;
1000 სომხური დრამი - 7.0396.

**ამინდი 12 სექტემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +28 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11 | დღე +30 |
| თბილისი: | ღამე | +17, | დღე +28 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge